# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 მარტი 2003 №45 (1816) | ფასი 50 თეთრი



ბურთმა მხოლოდ „დინამოს“ კარი მოიკითხა

ბადრი კეთილაძის ფოტოები



„ტორპედოს“ მწვრთნელ ალექსანდრ შტელინს ნერვიულობა დაუფასდა

# 1 ტორპედომ 0 დინამოს წაართვა

## სამი ქულა, პირველი ადგილი და...

## **დინამო, დინამო!**

## ქვა იყო? აბა!

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდები



„დინამოს“ ხორვატი თავკაცი ივო შუშაკი ნამატჩევს უგუნებოდ იყო

ბადრი კეთილაძის ფოტოები

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 1 ტური



ზურაბ იონანიძემ დინამოელთა მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

# ტორპედომ დინამოს სიმღერა და სამი ქულა წაართვა

## I–VI ადგილები

ქუთაისი. 14 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 12 000 (ტევადობა 19 500)

### ტორპედო 1:0 დინამო

1:0 გამეზარდაშვილი (54)

ტორპედო: ქანტურია, ხვადაგიანი, ლ. ქელიძე, მახვილაძე, თოდუა, კვეტენაძე, პოროშინი, ბაბუნაშვილი, იონანიძე, ახალკაცი (ნწტიანი 85), გამეზარდაშვილი
სათადარიგონი: სტურუა; ნერგაძე, ქელიშვილი, ზ. ქუთათელაძე, ლაღაძე
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

დინამო: ზოიძე, კარლოსი (სიხარულიძე 80), ყაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ა. ხაბაძე (კვირკველია 69), დარასელია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე (ი. სამხარაძე 81), ახალაია, ალექსიძე
სათადარიგონი: გვარამაძე; კანდელაკი, მანჯგავა, გ.-ჯ. მიქაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

გაფრთხილება: კარლოსი (34), ანჩაბაძე (59)

გაძევება: გამეზარდაშვილი (59), ახალაია (59)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ლ. ხილაგავა (თბილისი); დ. ხანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; მატჩის დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 15-27; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 6-8; კარში დარტყმა: 6-7; თამაშგარე: 1-0

კახა შალამბერიძე ქუთაისიდან

ესეც ქართული სუპერკლასიკო: ტურისა და ჩემპიონატის უმთავრესი მატჩი „ტორპედო“ — „დინამო“. მატჩი, რომელშიც ყველაფერი იყო, რაც ზოგადად ფეხბურთს ალამაზებს. მატჩი ნერვიული, დაძაბული, საინტერესო და მწირგოლიანი, ზუსტად ისეთი, როგორც ორი საუკეთესოს შეჯახებისას ხდება.

რა დრო დაგვიდგა, ასეთი დასამახსოვრებელი თამაშები უკვე საოცნებო გვაქვსო, ამღაგვარი ფრაზებით გამოხატავდნენ კმაყოფილებას გუშინ „ტორპედოს“ სტადიონზე მისული ხანდაზმული გულშემატკივრები.

ძნელია, მათ არ დაეთანხმო. გუშინდელი „ტორპედო“ — „დინამო“, ალბათ, მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი იყო ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში. სტადიონზე მისულ ათეულ ათასზე მეტ ქომაგსაც, მთელი 90 წუთი რომ არ გაჩუმებულა, მეტი რა უნდოდა.

ქართული ფეხბურთის მწვერვალის ორი დამლაშქრავის ჯახის საცქერლად გულშემატკივარი ადრიდანვე შეესია ქუთაისურ სარბიელს. მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე დაიწყო ხალხმა სტადიონის შევსება. შესასვლელ კარში კი საინტერესო „რემიქსის“ მოსმენაც უწევდათ. აკორდეონით შეიარაღებული მავანი ქუთაისელი მოსიერეებს კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ცნობილ „დინამო, დინამოს“ გაახლებული ვარიანტით ართობდა. სიმღერაში მხოლოდ ის იყო შეცვლილი, რომ „მომღერალი“ „დინამოს“ ნაცვლად „ტორპედოს“ მოუწოდებდა გამარჯვებისკენ.

ერთი სიტყვით, ქუთაისელი გულშემატკივარი მატჩს ხალისიანად ელოდა. აი, დინამოელთა თხუთმეტიოდე ქომაგს კი მათთვის უკვე კარგად ნაცნობი პოლიციელთა კორდონი გაუძლვა ტრიბუნისკენ.

ამათ შორის „ტკბილი ურთიერთობების“ ამბავი ყველამ იცის. თამაშისას თითქოს საფრთხე არსაიდან იყო — ქუთაისელ და თბილისელ ქომაგებს საკმაო მანძილი აშორებდათ ერთმანეთისგან, თუმც ნამატჩევს ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალა. სამწუხაროა, ქუთაისური სტადიონი და ქვა ისევ შესისხლხორცებულ ამბავად დარჩა.

სტადიონიდან გასასვლელად მომლოდინე დედაქალაქელებისა (პოლიციელებითურთ) და გამავალი მასპინძლების შელაპარაკება სიტყვიერი შეურაცხყოფიდან ნაცნობ, შემზარავ, ქვების სროლაში გადაიზარდა. ქუთაისელ ქომაგს უკვე ძვალშ-რბილში გაუჯდა „დინამოს“ ქომაგთა ქვებით „გამასპინძლება“.

გუშინდელი მატჩის ერთადერთი შავი ლაქაც (თანაც საკმაოდ დიდი) სწორედ ეს იყო. უკვე მერამდენედ გვიხდება ასეთ უმსგავსობაზე თხრობა, მაგრამ ამას ბოლო მაინც არ უჩანს.

ერთი სიტყვით, ფაქტი საგანგაშოა. ხოლო იმის გარჩევა, თუ რომელი მხარე იყო დამნაშავე, უსაფუძვლო გვგონია.

ახლა მატჩზეც ვთქვათ. შეხვედრის უმეტესი ნაწილი „ტორპედოს“ კარნახით წარიმართა. ალექსანდრ შტელინის სამწყსო ძალიან მწყობრად და განსწავლულად დაუხვდა მეტოქეს. „ტორპედოს“ ნაახალწლევს გაყიდული დიდავა-ქემოკლიძე-ასათიანის არყოფნაც თითქოს არ ეტყობოდა.

გარჯას ნურც „დინამოს“ დავუკარგავთ. ივო შუშაკის ბიჭები ჟინით კი ეწინააღმდეგებოდნენ მასპინძლებს, თუმც, როგორც ბოლოს გამოჩნდა, ამაოდ. სტუმრების თამაშს მარილი აკლდა.

მატჩის ერთადერთი გოლი კი ექსპერიმენტებში მოყოლილმა დავით გამეზარდაშვილმა შეაგდო. „ტორპედოს“ ტანმაღალ და სუსტი ალნაგობის ფეხბურთელს, რომელსაც მეტსახელად „ბაიანას“ ეძახიან, შტელინმა ახალი ამპლუა — ცენტრალური თავდამსხმელის პოზიცია მოუძებნა. ამან შედეგი მეორე ტაიმში გამოიღო. პირველ ნახევარში არც ისე შესამჩნევმა, გამეზარდაშვილმა საჯარიმოში მბორგავ ბურთს ზუსტი მისამართი მოუძებნა.

ხუთ წუთში მოედანზე გუნდური ჩხუბი ატყდა. მოქიშპეებმა ერთმანეთზე გაწევ-გამოწევის მერე ნერვები მოთოკეს და შერიგდნენ, მერაბ მალაღურაძემ კი ჩხუბისთავები გამეზარდაშვილი და ახალაია გასახდელის გზას გაუყენა...

მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა გამაყრუებელ ყიჟინაში ჩაიკარგა. გუშინ საჩემპიონოდ შემართული ქუთაისი „ტორპედოს“ გამარჯვებას ხარობდა.

*ივო შუშაკი:* „ვულოცავ მეტოქეს ღირსეულ გამარჯვებას. მეორე ტაიმში ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო და ორივე ჩვენი მარცხით დასრულდა. ჯერ ალექსიძემ გაარტყა ბურთი ძელს, მერე კი დაცვის შეცდომის გამო დასანანი გოლი გავუშვით. ბოლოს მეტოქეს კი შევუტიეთ, მაგრამ თამაშის შემოტრიალება ვერ შევძელით. კარგია, რომ ჩემპიონატი ასეთი დონის მატჩით განახლდა.

მსაჯის გადაწყვეტილებებს კომენტარს არასოდეს ვუკეთებ. ჩხუბის მომენტი კარგად ვერ დავინახე და ამიტომ არბიტრს უნდა ვენდო. ვეცდებით, მომდევნო ტურებში უკეთესად ვითამაშოთ.“

*ალექსანდრ შტელინი:* ძალიან მიხარია, რომ მოვიგეთ. „დინამო“ ძლიერი გუნდია და ეს გამარჯვება ჩვენთვის ორმაგად ფასობს. ასეთი მატჩები ორივე გუნდს დიდად წაადგება. არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ სუსტი სათადარიგოთა სკამი გვაქვს. უბრალოდ, ასეთ თამაშში ცვლილებების გაკეთება ცოტა სარისკო საქმე იყო. შეიძლებოდა გუნდი არეულიყო და ამიტომ თავი შევიკავე.

ნიგერიელი მამადი სანგარეს ტრანსფერი ჩაიშალა. კიევის ცსკა-ს შეძლებული პატრონი გამოუჩნდა და ტრანსფერზე დაყენებული ყველა ფეხბურთელი თავისთვის დაიტოვა.

ძალიან გამიხარდება, თუკი რომან ახალკაცი მოსკოვის „სპარტაკში“ გადავა. ეს ჩვენს პროგრესზე მიუთითებს. თუ ჩვენი ბიჭებით ასეთი დონის კლუბები დაინტერესდებიან, ამას რა აჯობებს.“



მატჩს უჩხუბრად არ ჩაუვლია



დავით გამეზარდაშვილი



დინამოელთა მეკარე ირაკლი ზოიძეს საქმე არ მოჰკლებია

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXV ტური

მაინცი 1:3 ფიურტი
ტრირი 1:2 როიტლინგენი
ალენი 0:0 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIII ტური

კიოლნი (მ) 2:1 ესენი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXV ტური

ელვერსბერგი 3:2 ოფენბახი
ჰოფენჰაიმი 2:1 ლაუტერნი (მ)

### ჰოლანდია

II დივიზიონი XXIV ტური

მაასტრიხტი 3:2 ჰერაკლესი
დენ ჰააგი 1:0 ტელსტარი
ვეენდამი 1:2 სპარტა
დენ ბოსხი 1:1 ემენი
დორდრეხტი 1:1 ჰელმონდი
ეინდჰოვენი 4:0 ოსი
ჰაარლემი 0:3 იგლსი
ვენლო 2:2 ვოლენდამი
სიტარდი 5:2 კამბური

### იტალია

სერია B. XXVI ტური

ვიჩენცა 2:1 მესინა

### საფრანგეთი

I დივიზიონი გადადებული მატჩები

ლანსი 0:1 ნანტი
ლილი 2:0 მონპელიე
სოშო 1:1 აიაჩო

II დივიზიონი გადადებული მატჩები

სენტ ეტიენი 4:1 ამიენი
ბოვე 1:2 ლავალი

### პორტუგალია

I ლიგა XXV ტური

მორეირენსე 3:1 ბელენენსეში

### პოლონეთი

XVII ტური

ლეგია 4:3 ამიცა

### თურქეთი

სუპერლიგა XXIV ტური

გენჩლერი 2:1 გაზიანთეფი

### ინგლისი

II დივიზიონი XXXVII ტური

ტრანმერი 3:3 კარდიფი

# გაიტანა, განა მარტო ნანამ?

ფოთი. 14 მარტი. 15 საათი. ფაზისი. 700 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:6 ლოკომოტივი

0:1 სალუქვაძე (20), 0:2 ნანა (22), 0:3 ხოსელია (45), 0:4, 0:5 სირაძე (65, 79), 0:6 ნანა (80)

**კოლხეთი:** ა. ლაბაძე, მ. ქობულაძე, გოროზია, ნარსია (ლონდაძე 46), გაბიდაური, დარსანია (მარგალიტაძე 68), კრასოვსკი, მალანია (ჯოლია 46), ტუღუში, გაგუა, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* ჩემია; ლოლუა, მ. ფილია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**ლოკომოტივი:** ლომაია (ივარდავა 81), რ. ონიანი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი (ლაცაბიძე 72), გალიარდო (ქიქვეიშვილი 54), კვარაცხელია, მ. ბურნაძე, ხოსელია, სირაძე, ნანა
*სათადარიგო:* გოგინაშვილი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**გაფრთხილება:** გოროზია (39)

**მსაჯები:** ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ასკაროვლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **მატჩის დირექტორი:** ბ. სიჭინავა

ჯარიმა 23-16; კუთხური 3-1, კარისკენ დარტყმა: 4-6, კარში დარტყმა 1-8; თამაშგარე 3-7

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**ვინ თქვა,** „კოლხეთი" „ლოკომოტივისთვის" უხერხული მეტოქეაო? გუშინდელი 0:6-ის შემდეგ ალბათ ამის თქმას მოერიდებიან. არადა, ბოლო სამი წლის განმავლობაში რკინიგზელებს „ფაზისზე" მხოლოდ ერთხელ მოეგოთ. თუმცა ეს უსიამოვნო ტრადიცია ერთი ხელის მოსმით დაარღვიეს ლუის ცაკარიასის შეგირდებმა და მეტოქეს შავი დღე აყარეს.

უეჭველია, რომ განელი ნანა ეშუანის სახით რკინიგზელებს ახალი ლიდერი გამოუჩნდათ. ამ შავმა ჯეელმა ჩინებულად ითამაშა, ორი გოლი ხომ გაიტანა, ლამის ყველა იერიშშიც თავისი წილი დაიდო და კოლხთა მცველებსაც გვარიანად აუბნია გზა-კვალი.

და განა მარტო ნანამ ითამაშა სტუმართაგან კარგად? საქმე ისაა, რომ რკინიგზელთა ყველა ფეხბურთელმა ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა მწვრთნელის დავალება და „კოლხეთის" განადგურებაც სავსებით ლოგიკური ფაქტი გახადა.

სოსო ფილიას სამწყსო მხოლოდ პირველი ოცი წუთი ეთამაშა მეტოქეს ტოლ-სწორად, თუმცა ამ მონაკვეთში კუთხური დაინიშნა მათ კარითან და გოლთაცვენაც აქედან დაიწყო. ბურნაძის ჩაწოდებულს სალუქვაძემ მოხდენილი თავური შეაგება და ბურთი კოლხთა კარის ახლო ცხრიანშიც „ჩაჭედა".

ამან იმდენად დაზაფრა „ფაზისის" ბინადარნი, რომ ორ წუთში მეორე გოლიც გამოცხვა. ხოსელია საჯარიმოში იოლად დაუსხლტა მცველებს და კარში დარტყმას ნანას მისამართით გადაცემა ამჯობინა. არც შემცდარა, უკეთეს პოზიციაში მყოფმა განელმა კოხტად შეაცურა ბურთი ლაბაძის კარში.

თუ ამ გოლებამდე „კოლხეთი" ასე თუ ისე ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას, ამის შემდეგ სულ მოეშვა და მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი, „ლოკომოტივი" გაბატონდა. ტაიმის ბოლოს შეხვედრას ინტრიგის ნატამალიც არ შერჩა — კვლავ ნანამ იცოცხლა, მეურვე ფინტით ჩამოიშორა და ის-ის იყო, ლაბაძეს პირისპირ უნდა შეყროდა, გოროზიამ ზედ საჯარიმოს წინა ხაზთან მოცელა. დაინდო კვარაცხელიამ კოლხთა კაპიტანი, თორემ უდავოდ გასაძევებელი იყო. მით უმეტეს, რომ კახას ხუთი წუთის წინ ყვითელი ბარათიც აუფრიალა.

და მაინც, კოლხები მალევე დაისაჯნენ. ხოსელიამ ჩინებულად გადაატარა ბურთი ცოცხალ კედელს და მეკარეც უსაქმოდ დატოვა.

თამაშის განახლების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. კვლავ რკინიგზელები მძლავრობდნენ და კვლავ ნანა ეშუანი ესწრაფვოდა გატანას. თუმცა სირაძემ ის გაიტანდა, ორჯერ სირაძემ გამოიჩინა თავი. ჯერ იყო და, კვარაცხელიამ მეტოქის იერიში ჩაშალა, მოედნის ცენტრიდან კოლხთა უკანა ხაზიც გაარღვია და კარისკენ ბურთიანად თავად დაიძრა. საჯარიმოში შესულმა დაარტყა კიდეც, მაგრამ ლაბაძემ ფეხით აუღო. თუმცა მისგან ახლოსტოლ ბურთის სირაძემ ზედ კარის ხაზთან მიუსწრო და მშვიდად შეაგორა.

სირაძის მეორე გოლი კი მართლაც ლამაზი გამოდგა. ხოსელიას შორეულ პასს მან ერთი შეხებით შეაგება პირაგანი საჯარიმოს გარედან და ბურთი შორეულ დაბალ კუთხეში ბადეში ააფარიხალა.

წუთსაც არ გაევლო, სირაძემ ახლა ასისტენტობა იკისრა და ნანას პირველივე სანემპიონატო მატჩში დუბლი შეასრულებინა.



ნანამ „კოლხეთს" ორი გაუტანა

# მკერდი, ცრემლი და ფეხბურთი

ბოლნისი. 14 მარტი. 15 საათი. თემურ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 000)

## სიონი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 მელქაძე (79)

**სიონი:** ბათიაშვილი, ხუჯაძე, ფანჩულიძე, ირემაშვილი (ისიანი 74), ა. ბურნაძე, ხვანაძე (ბაქრაძე 57), გაბისკირია, შავგულიძე, დაუშვილი, წივწივაძე, კოშკაძე
*სათადარიგო:* ვოლკოვი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კვახაძე (ადამია 76), ინწკირველი, მუჯირი, კობიაშვილი, გველესიანი, დილმელაშვილი, დათუნაიშვილი, ლ. ნოზაძე, ჯ. გოჩაშვილი (ლ. მერებაშვილი 86), მელქაძე (ფეიქრიშვილი 89)
*სათადარიგონი:* ქურაძე; ბოლქვაძე, ზაზაშვილი, მარცვალაძე
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** დაუშვილი (87)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **მატჩის დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 24-19; კუთხური: 6-3; კარისკენ დარტყმა: 2-5; კარში დარტყმა: 7-4; თამაშგარე: 4-5

**მამუკა კვანტალიანი** ბოლნისიდან

**მსაჯის** საფინალო სასტვენისთანავე ერთბაშად იხუვლეს ვეტერინარებმა, ერთმანეთს პირველი გამარჯვება მიულოცეს. გულდაწყვეტილი ბოლნისელები თავჩაქინდრულები მიუყვებოდნენ გასახდელის გზას. უკან „თემურ სტეფანიას" გუშინდელი სტუმრების სიმპათიაც ასდევნებოდათ, მათ ხომ თავდაუზოგავად, ვაჟკაცურად იომეს.

„ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა ჯანი კარნევალიმ კი სიტყვა შეასრულა. მისი გუნდი ისე თამაშობდა, როგორც გადამწყვეტ შეხვედრაში. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ვეტერინარები მასპინძელთა ზეწოლას ვერ გაუძლებდნენ.

„სიონი" ნამდვილად შეეცადებოდათ. ვინძლო ბოლნისელები წაგებასაც არ იმსახურებდნენ, მაგრამ ყველაფერი ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა. მასპინძელთა თვალცრემლიან მეკარე ზურაბ ბათიაშვილს თამაშის შემდეგ ყველა თანაგუნდელი თანაუგრძნობდა, თუმცა ვერც მათ და ვერც ჩვენ გაგვეგო, რა მოელანდა მატჩის 79-ე წუთზე.

...მარჯვნიდან შეტევა ადამიამ წამოიწყო, ფლანგზე გაჭრილ თანაგუნდელს გოჩაშვილი წამოეშველა და ბურთიც საჯარიმოში ჩაჰკიდა. ახლო ძელთან მდგომ ბათიაშვილს ბურთი უპრობლემოდ უნდა დაეჭირა, მაგრამ მკერდით გაჩერება განიზრახა და სწორედ მაშინ არ ეყო ოსტატობა. დაუმორჩილებელი ბურთი კარის სიახლოვეს დატრიალდა, მცველ-შემტევში გაიბლანდა და მელქაძეს მიუგორდა. ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ ცაცია ლონივრად მოიქნია და „თემურ სტეფანიაზეც" თბილისელთა სიხარულმა დაისადგურა.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ თამაში ჯიგრიანი იყო, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მობურთალეებს „თემურ სტეფანიას" მოედნის საფარი ვარგისი რომ დახვედროდათ. დამბალ და ატალახებულ მინდორზე ფეხბურთელებმა შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს.

ორივე მწვრთნელმა თითქმის ერთნაირი განლაგებით დაიწყო შეხვედრა. ოთხი მცველი, ხუთი შუახაზელი და ერთი ფორვარდი. სტუმარ-მასპინძელი თავიდანვე ცდილობდა, თავისი შანსი გამოეყენებინა.

პირველ წუთებში „სიონი" უფრო ყოჩაღობდა. ვიტელთა უკანა ხაზიც თითქოს შემცბარი ჩანდა, მაგრამ თანდათან სტუმრებიც გააქტიურდნენ და მეტოქის კარსაც დაემუქრნენ. „ვიტ ჯორჯიას" ტაიმის ბოლოს დაწინაურებაც შეეძლო. დილმელაშვილმა ზუსტად დაუმიზნა მასპინძელთა კარის ცხრიანს, მაგრამ ბოლო წამს ბათიაშვილმა ტალახს თავი დააღწია და აკრობატულ ნახტომში ბურთს ხელი წაატანა, ხარიხიდან მიწაზე დაშვებული კი განმეორებით ნახტომში დაიჭირა.

თამაშის არსი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. მეტოქეები თავგანწირვით იბრძოდნენ და უტევდნენ. გატანილ გოლამდე სტუმრებს ორჯერ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ პირველად ბათიაშვილმა ივარგა, მეორედ, მელქაძის თავურის შემდეგ, ბურთი ძელს მოხვდა.

თემურ მახარაძემ, შეტევის გაძლიერების მიზნით, სასარგებლოდ გამწესებული ორად-ორი ჯანმრთელი ფეხბურთელი ორი უკანახაზელის სანაცვლოდ მოყოლებით შეუშვა მოედანზე. თითქოს ამას ელოდაო, კარნევალიმ სწრაფად ადამიას უხმო და მცველ კვახაძის ნაცვლად შეტევაში გაამწესა. ზუსტად ოთხ წუთში „ვიტ ჯორჯია" დაწინაურდა.

გაშვებული გოლის შემდეგ „სიონი" სტუმრის ნახევარზე გადაბარგდა და სამი საგოლე მომენტიც შექმნა. დასარტყმელ პოზიციაზე სამჯერვე ბოლნისელთა ლიბერო ბურნაძე იდგა. სანდრომ ჯერ თავით დაურტყა მერლანს, მაგრამ მეკარე თავგანწირულ ნახტომში შესწვდა ბურთს. მეორედ ბურნაძემ ცაციათი სცადა ბედი, მაგრამ ვიტელთა გოლკიპერმა პოზიცია ზუსტად შეარჩია. მესამედ მასპინძელთა უკანახაზელი ისევ თავით ურტყამდა, თუმცა ბურთი ხარიხას ზემოდან გადაუვლით.

გუშინ ბოლნისში ალბათ ვერც ერთ ფეხბურთელზე ვერ იტყოდით, მაგრამ ოცდაორიდან ორი ნამდვილად გამორჩევის ღირსია. სტუმართაგან დებიუტანტ დათუნაიშვილზე ალალია შექება. 19 წლის ბიჭმა თავგანწირულად და საზრიანად ითამაშა. ბოლნისელთაგან კი ვეტერანი გაბისკირია იყო საუკეთესო, რომელსაც წლოთა სიმრავლე ოდნავადაც არ ეტყობა, აქვე ისიც სათქმელია, რომ მის ფრიად გარჯასაც უკვე შეჩვეულები ვართ.

პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის თავკაცი ნერვიულობისგან გასავათებული გამოცხადდა. თუ ჯანი კარნევალის ნელ-ნელა ხალისი და ენერგია ემატებოდა, თემურ მახარაძეს ლაპარაკი უჭირდა.

— ვულოცავ „ვიტ ჯორჯიას" დამსახურებულ გამარჯვებას. ასეთი მატჩები ჩემპიონატს ალამაზებს. მიუხედავად დამარცხებისა, ბიჭებს მადლობა ვუთხარი თავგანწირვისა და უშიშარი თამაშისთვის. დღეს ჯანმრთელი მხოლოდ 11 ფეხბურთელი მყავდა. მეკარე ვოლკოვი განაცხადში მხოლოდ სიმბოლურად შევიყვანეთ, ხოლო ბაქრაძე და ისიანი ახალგამოჯანმრთელებულები იყვნენ. სხვადასხვა მიზეზით ვერც გვასალია და ღვინიძე შეგვეშველნენ, მაგრამ მიუხედავად ამდენი პრობლემისა, წაგებას, ალბათ, არ ვიმსახურებდით — თემურ მახარაძე შეგირდებს მონდომებას არ უკარგავდა.

— თავიდან გარკვეული სიძნელეები გვქონდა უკანა ხაზში, მაგრამ თამაში მალევე გავათანაბრეთ. სულ ცოტა, ორი-სამი გოლის გატანა გვმართებდა, თუმცა ასეთ ცუდ მინდორზე ორივე გუნდმა კიდევ კარგი ფეხბურთი ითამაშა. მოთამაშეების მადლობელი ვარ, მაგრამ გარკვეული შენიშვნები მაინც მაქვს. მათ მეტიც შეუძლიათ — ჯანი კარნევალის სახიდან ღიმილი არ შორდებოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 29 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 28 |
| დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 28 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 15 |
| კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 15 |





ლევან მელქაძემ ამ ჯერზე ვერა, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა და გახარებული სათადარიგო თანაგუნდელებს გადაეხვია

# VII–XII ადგილები

# ბათუმის ოლიმპიური

## გაიტანს სხვა, ჩავითვლით ჩვენ

თბილისი. 14 მარტი. 15 საათი. ისანი. 1 000 (ტევადობა 5 000)

### მერანი-ოლიმპი 0:1 ბათუმი

0:1 ნადირაშვილი (17ს.კ.)

**მერანი-ოლიმპი:** ნაჭყეპია, ნადირაშვილი, გუჯაბიძე, დავითნიძე, მიქიაშვილი, დავითაშვილი (გ. ნოდ. ქელიძე 46), გოგიჩაიშვილი, გ. ნუგ. ქელიძე, ხოჯავა, აფციაური (გელა ქორიძე 46), მიკუჩაძე (ქარდავა 67)
*სათადარიგონი:* გაბელია; ხარებავა, ელიავა
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, გუშარაშვილი, თედორაძე, ქაცარავა, რომანაძე, ი. შენგელია, სეფერთელაძე (იალამიდი 46), ფირცხალაიშვილი (ცანავა 90), მოდებაძე (ბეჟანიძე 88)
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; დუმბაძე, დარჩიძე
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**გაფრთხილება:** აფციაური (29), რომანაძე (54), გუშარაშვილი (55), ფირცხალაიშვილი (72)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიაშვილი (სამივე ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **მატჩის დირექტორი:** რ. ურუშაძე

ჯარიმა: 14-16; კუთხური: 4-4; კარისკენ დარტყმა: 4-3; კარში დარტყმა: 4-2; თამაშგარე: 3-4

კობა ინასარიძე

ორი ახალი გუნდი, ორივე ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი, ორივე ჭაბუკებით დაკომპლექტებული — „მერანი-ოლიმპი“ და „ბათუმი“. მასპინძელი მთლად ახალ გუნდად უნდა ჩავთვალოთ, ვინაიდან პატრონიც შეეცვალა, სახელწოდებაც და ლიგაში ვის ადგილზეც არის, იმ გუნდიდან სულ ოთხი ფეხბურთელი შემორჩა. მათგან ორს გუშინ არც უთამაშია. „ბათუმიც“, ფაქტობრივად, ახალი „ბათუმია“, მწვრთნელ-ხელმძღვანელობა ძველია, საქმის კეთება რომ იციან, თუმცა „მერანი-ოლიმპივით“ შემადგენლობაა შეცვლილი, პირველ ეტაპზე მობურთალთაგან სულ რამდენიმე ფეხბურთელი შემორჩა.

ერთი სიტყვით, ახალი გუნდების მატჩი იყო და, შესაბამისად, შედეგიც ძნელად გამოსაცნობი. პირველი მომენტი „მერანი-ოლიმპისა“ იყო. მე-8 წუთზე „ბათუმის“ საჯარიმოს მისადგომებთან მსაჯმა ჯარიმა დანიშნა და ვეტერანმა კახა გოგიჩაიშვილმა დაარტყა, ბურთი, ბათუმელთა ბედად, კარის ჯვარედინს მოხვდა. შეგულიანებული მასპინძლები მეტოქის კარს უფრო მიეძალნენ, თუმცა ქვაჩახია ერთხელ, ისიც შორიდან დარტყმულით შეაწუხეს. „მერანი-ოლიმპის“ დანარჩენ შეტევებს კი სტუმრების დაცვა იოლად უმკლავდებოდა, თავს საიმედოდ იცავდა და მომენტი რომ შეექმნებოდა, მაშინვე კონტრშეტევას იწყებდა.

„ბათუმმა“ ჯერ ერთხელ „უჩხვლიტა“ თბილისელებს, მერე მეორედ, მესამედ კი საწადელსაც მიაღწია: მარჯვენა ფლანგიდან ირაკლი შენგელიას ჩაწოდებულ კუთხურს მასპინძელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ბურთი მეკარის ბაქნის სიახლოვეს ტრიალებდა. ტრიბუნიდან მხოლოდ ის გამოჩნდა, რომ ბურთი ნაჭყეპიას კარში შეგორდა. გოლის ავტორობა ვის აღარ მიაწერეს, საბოლოოდ კი მსაჯ ავთო შალამბერიძის სიტყვამ და მკაფიო ჟესტმა, რომელიც დამხმარისკენ იყო მიმართული, ტრიბუნაზე დავა შეწყვიტა — ნადირაშვილი, საკუთარ კარში — ავტოგოლი.

„მერანი-ოლიმპი“ გაცხარდა და მეტოქის კარისკენ ლამის მთელი გუნდით გაიწია, თუმცა მათ შეტევებს სიმწყობრე აკლდათ და, ალბათ, ეს იყო კიდეც მათი მარცხის უპირველესი მიზეზი. „ბათუმმა“ კი პრაქტიკულად ითამაშა, რაც სჭირდებოდა ბალაძის გუნდს, ის გააკეთა, თავისაუტკიებლად, დინჯად. შესვენებამდე თბილისელმა გოგიჩაიშვილმა მოახერხა სტუმართა ანერვიულება, უფრო სწორად, მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში აწვდიდა, ბურთი ფეხიდან აეჭრა და უცნაური ტრაექტორიით ქვაჩახიას კარის ხარიხას დაეცა.

მეორე ტაიმში კობა ჟორჟიკაშვილმა ორი შეცვლა ერთბაშად გააკეთა.



სულიკო დავითაშვილისა და კახა გოგიჩაიშვილის საჩემპიონატო დებიუტი ახალ გუნდში მარცხიანი გამოდგა

გამთამაშებელ აფციაურის ნაცვლად გამოცდილი ქორიძე ათამაშა, პასიურ დავითაშვილს კი ჭელიძე ამჯობინა. ხოჯავამ ცენტრისკენ გადაინაცვლა, მასპინძელთა შეტევები თითქოს უფრო გამძაფრდა, გახშირდა, მაგრამ ქვაჩახიას კართან ისეთიც არაფერი შექმნილა, იღბალი რომ ვახსენოთ. სათამაშო დროის ნაკლებობასთან ერთად კი ნერვების თამაში მატულობდა. ერთ-ორ ეპიზოდში მასპინძლები ზომაზე მეტადაც გაცხარდნენ, თუმცა თავდაჯერებულმა მსაჯობამ ისინი დააშოშმინა და მატჩიც გაურთულებლად ჩამთავრდა.

# მიდი, როინ, აჩვენე ბიჭებს

გიორგი ვაშაკიძე ზესტაფონიდან

ჩახედეთ მატჩის ოქმს, გადაავლეთ თვალი „მეტალურგის“ შემადგენლობას, იქ თქვენ ნაცნობ გვარებს თვალს ვერ მოჰკრავთ. იმ ფეხბურთელებიდან, რომლებიც მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ზესტაფონური კლუბის ღირსებას იცავდნენ, დღეს გუნდში ერთიც აღარაა. მიზეზი: უფულობა, შესაბამისად, ვალები და კლუბიდან წასული პრეზიდენტი...

მოკლედ, „მეტალურგი“ 17-18 წლის პერსპექტიული ბიჭებით შეავსო. ადგილობრივმა საფეხბურთო სკოლამ „მეტალურგს“ არ გაწირა მშობლიური ზესტაფონი, ქალაქში ფეხბურთის არ [illegible]ვით.

ზესტაფონის გამგეობამ დროებით იკისრა გუნდის პატრონობა, თუმცა მთავარ იმედს ფეროშენადნობთა ქარხანაზე ამყარებენ. ერთადერთი საწარმო, რომელიც ზესტაფონში გამართულად მუშაობს, სწორედ ფეროა. ჰოდა, თუ ქარხანამ გუნდს მიხედა, „მეტალურგს“ აუცილებლად ეშველება — იმედიანად არიან ზესტაფონელები.

ერთი სიტყვით, ჯერაც გადაუჭრელი პრობლემებით და გასავარდნად განწირული გუნდით დაუხვდა „მეტალურგი“ გუშინ „დილას“. მასპინძელი ფეხბურთელები, რომელთა საშუალო ასაკი 18 წელია და რომელთაც ერთადერთი გამოცდილი ფეხბურთელი, 24 წლის (!) შოთა გოგაძე ჰყავთ, შეუპოვრობის და ჟინის ხარჯზე თუ მიაღწევდნენ რამეს გორელებთან მატჩში. პირველსავე წუთებიდან კი გამოჩნდა, რომ მეტოქეზე გამოცდილებით და კლასით აშკარად მაღლა მდგომი „დილა“ სამ ქულას უპრობლემოდ მიისაკუთრებდა. სტუმართა სათამაშო თუ ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე თვალში საცემი გახლდათ. გორელებს ერთი-ორჯერ საგოლე მომენტიც კი შეექმნათ, მაგრამ პირველ ტაიმში ოდენ ფრეს დასჯერდნენ.

მეორე ნახევარში „დილას“ ახალგაზრდა მწვრთნელმა ზურაბ ხორგუაშვილმა ფეხბურთში თავისივე თხოვნით დაბრუნებული ვეტერანი როინ მარღიშვილი შეუშვა მინდორზე. ამის შემდეგ სტუმართა შეტევები უფრო მწყობრი გახდა. მარღიშვილს მხარი ჩინებულად აუბა ახალგაზრდა ლუკა რაზმაძემაც, ხოლო ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე თბილისური „ლოკომოტივიდან“ „დილაში“ განათხოვრებული აქვსენტი გილაური დანავარდობდა.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თამაში სწორედ გილაურმა მოიგო. მეორე და თანაც ძალიან ლამაზი გოლი ხომ თავად გაიტანა 78-ე წუთზე, როცა ყმაწვილ სხულუხიას შორეულ ცხრიანში ჩაუსვა ბურთი. მანამდე კი თავისავე ფლანგზე, საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა მოინადირა, სტანდარტულის შესრულებაც თავადვე ითავა და კარის წინ უმეთვალყუროდ მიტოვებულ ბექა ჩიტაიას ბურთისთვის თავის მირტყმა არ გასჭირვებია. ანგარიში ასე გაიხსნა.

ზესტაფონში მოგებით „დილამ“ მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში, გორელები ხომ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან. აი, მეტალურგები კი თითქოს ბედს შეგუებულნი არიან, გულისტკივილით აღიარებენ, ლიგიდან ალბათ გავვარდებითო.

ზესტაფონი. 14 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 500 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 0:2 დილა

0:1 ბ. ჩიტაია (53), 0:2 გილაური (78)

**მეტალურგი:** სხულუხია, გელაშვილი, მიქაბერიძე, გოგაძე, კვანტრიშვილი, ა. მანჯავიძე, ო. შველიძე (ლ. მანჯავიძე 88), დ. კაპანაძე, ტუმბურიძე (ნებიერიძე 88), ბოგვერაძე (ე. მაღლაკელიძე 76), ნიშნიანიძე
*სათადარიგონი:* ღვინიანიძე; მამუკაშვილი, გ. შავგულიძე, კ. თავბერიძე
**მწვრთნელი:** გურამ მაზმიშვილი

**დილა:** გ. სომხიშვილი, გ. ჩიტაია (ლ. გოჩაშვილი 86), ხაჭაპურიძე, ფეზუაშვილი, მორჩილაძე (არუდაშვილი 46), ლომიძე, რაზმაძე, საყვარელიძე (მარღიშვილი 46), გილაური, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ოლდეჯაშვილი, ხანიშვილი, მ. სომხიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**მსაჯები:** კ. მეხი (ზუგდიდი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. კეკელიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **მატჩის დირექტორი:** გ. კეტაშვილი

ჯარიმა: 19-12; კუთხური: 0-11; კარისკენ დარტყმა: 3-11; კარში დარტყმა: 1-8; თამაშგარე: 1-6

# საააკაძის დაბრუნება

გურჯაანი. 14 მარტი. 15 საათი. დავით ყიფიანი. 800 (ტევადობა 10 000)

### მილანი 0:0 გორდა

**მილანი:** მამალაძე, რობაქიძე, ლომბაშიძე, აკობია, მეტონიძე, ბარამიძე, მ. სამხარაძე, ბაჯელიძე, ეგაძე, მედოევი, კ. ბობოხიძე
*სათადარიგონი:* გიორბელიძე; ნ. მელაძე, ხაჩიძე, ლულუნაძე, ჯაფარიძე, მურჯიკნელი, ლ. ბოჭორიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბოჭორიშვილი

**გორდა:** ბედიაშვილი, ჯ. თავბერიძე (ვ. ჩხაიძე 18), სილაგაძე, დ. ბერიძე, არსოშვილი, ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე, ჩოხელი (ბ. ნოზაძე 62), ჯელაძე, კ. ალადაშვილი, ლ. ალადაშვილი (სოხაძე 86)
*სათადარიგონი:* ჯანიაშვილი; მიქავა, პაპაშვილი, ადეიშვილი
**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი

**გაფრთხილება:** ზვ. ლაბაძე (36), ბაჯელიძე (39), კ. ალადაშვილაი (82)

**გაძევება:** კ. ალადაშვილი (82)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **მატჩის დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

ჯარიმა: 15-23; კუთხური: 7-4; კარისკენ დარტყმა: 2-3; კარში დარტყმა: 8-5; თამაშგარე: 6-1

პაატა კვანტალიანი გურჯაანიდან

მშობლიურ კუთხეში ფეხდადგმული რუსთაველთა მწვრთნელი იასონ ალადაშვილი დიდი სიყვარულით მოიკითხა კახელმა ქომაგმა. სტადიონზე შესულ ალადაშვილს ტაში არ დაჰკლებია ტრიბუნიდან, თუმცა იქვე ერთმა საზრიანმა ქიზიყელმა თადარიგი დაიჭირა და ალადაშვილი გვერდზე გაიხმო. სააკაძე რომ ჩამოუძღვა ყიზილბაშებს, ისე ხომ არ ხარ იასონ მოსული, არ დაგვღუპო, ვისი გორის ხარ, გახსოვდესო.

დაღუპვით არავინ დაღუპულა გუშინდელ მატჩში, მაგრამ მასპინძელი „მილანი“ დაღონებული რომ დარჩა, ფაქტია. ბოლნისელთაგან „გაძარცვულმა“ კახელებმა შეთხელებული შემადგენლობით ითამაშეს და საომრად შემართულ რუსთაველებს ვერაფერი მოუხერხეს.

ორი აუტსაიდერი თამაშობდა და, აქვე ვთქვათ, კლასიც შესაბამისი იყო. ეგაა, სტუმარ-მასპინძელს თავი არ დაუზოგავს მიზნის მისაღწევად და გვარიანი ომიც გამოდგა გურჯაანული დაპირისპირება.

გასატანი ორივე გუნდს ჰქონდა. უფრო რეალური მომენტები რუსთაველებმა შექმნეს. ორ ლაშას, სილაგაძეს და ალადაშვილს, სამი ქულის წაღებაც შეეძლოთ ქიზიყიდან, მაგრამ ზურაბ მამალაძეს ვერაფერი მოუხერხეს.

თავიდან მასპინძლები მიაწვნენ. მოულოდნელი ბარამიძის და შმაგი სამხარაძის წყალობით წნორელებმა მეგოლე მედოევის უხასიათობა არ დაიტყვეს და მე-16 წუთზე ძალუმად გაიწიეს საგოლედ — ბარამიძის პასით ახალწვეულმა კახა ბობოხიძემ შეუტია ბედიაშვილს, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა. საპასუხოდ ლაშა ალადაშვილმა გარედან გაარტყა ბურთი ბადეს. ეს იყო და, ისევ „მილანმა“ შეუტია, მედოევმა 90 წუთში ბოძებული ერთადერთი შანსი ვერ გამოიყენა — ბედიაშვილი ზუსტად დაუხვდა ათიოდ მეტრიდან გასროლილს.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კი რუსთაველებს უნდა გაეტანათ, მაგრამ ლაშა სილაგაძის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს მცველებმა.

81-ე წუთზე, ბარამიძის კუთხურისას, დიდი არეულობა შეიქმნა რუსთაველთა საჯარიმოში — კარის ხაზიდან ორჯერ გამოტანილი ბურთი ბოლოს ბედიაშვილმა მოიხელთა. ფანიაშვილმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა. სტუმართა მხრიდან მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებას კახა ალადაშვილი „შეეწირა“. არბიტრმა ორი ყვითელი ბარათით იგი მოედნიდან გააძევა, „მილანმა“ კი შანსი ვერ გამოიყენა, მხოლოდ კუთხურსღა გამორჩა და დარჩენილ დროში არც არაფერი შეცვლილა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 14 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 13 |
| მერანი-ოლიმპი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 12 |
| მეტალურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 10 |
| გორდა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 8 |
| მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 17 - იოსანიძე | *ტორპედო* |
| 16 - მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 11 - დარასელია | *დინამო* |
| 9 - კოშკაძე | *სიონი* |
| 8 - შავგულიძე<br>გოდერძიშვილი<br>გოცირიძე | *სიონი*<br>*მილანი* |

UAB "Billjardai"
Zeus
Billjardai
ბილიარდის მაგიდები
და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების

saluc
Master
საუკეთესო წინადადებები ახალი სათამაშო კლუბების გახსნისას
კონსულტაციები, გარანტია
შეკეთება, რემონტი, რესტავრაცია
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, ჭანტურიას ქ. N2 (დიდ. კამი)

*გუშინ ეროვნული ჩემპიონატი განახლდა, საფეხბურთო ცხოვრება გამოცოცხლდა და საცაა სანაკრებო ნერვიულობაც კარს მოგვადგება — როგორ დააფრქვევს საგაზაფხულო სურნელს საფეხბურთო საქართველო, მალე გამოჩნდება...*

*გუშინვე ინტერვიუსთვის ვესტუმრეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას და საუბარი ეროვნული ჩემპიონატით დავიწყეთ, შემდეგ სხვა თემებსაც გადავწვდით...*

# კარგი იქნება, თუ ჩივაძე ისწავლის

## მერაბ ჟორდანიას საგაზაფხულო რიტორიკა

# შევარდნაძე ბლატერის თავს 26 მაისს ითხოვს

**— უკვე მეხუთე წელიწადია, სფფ-ის პრეზიდენტი ხართ — როგორ დაატყვეთ თქვენი პრეზიდენტობა ეროვნულ ჩემპიონატს?**

— ჩემპიონატის ახალი სისტემის დანერგვით მივაღწიეთ იმას, რაც ჩაფიქრებული გვქონდა — დაძაბული მატჩები. მოთამაშეთა კლასის სერიოზულ ამაღლებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ უშეღავათო თამაშები აუცილებლად იწვევს წინსვლას. ფაქტია, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ბევრი ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობას, ასე ვთქვათ, მიუახლოვდა.

**— გასაგებია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ეროვნული ნაკრების და კლუბების შედეგებს ევროტურნირებზე, აგრეთვე იმას, თუ ძირითადად რა დონის კლუბებში თამაშობენ ჩვენი ლეგიონერები, შეგიძლიათ თქვათ, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა?**

— კონკრეტულად დღევანდელი ვითარება ამის თქმის საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს. ნაკრებთა და კლუბთა შედეგების გარდა, ისიცაა, რომ სამწუხაროდ, ბოლო დროს უცხოეთში მოთამაშე ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობა ისეთ გუნდებში არ გამოდიან, რომ ამით ვიამაყოთ. საქართველო საფეხბურთო ქვეყანა იყო და აუცილებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ასეთი განცხადების უფლება ახლაც გვქონდეს.

**— ყველაფერი ეს საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაციაზე უარყოფითად არ მოქმედებს? საფეხბურთო სკოლებში კვლავაც ბევრი ბავშვი დადის, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ, ვთქვათ, რაგბი უფრო პოპულარული გახდეს — საამისო საფრთხეს ვერ ხედავთ?**

— მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თუ გადავხედავთ ბავშვთა ფეხბურთში არსებულ ვითარებას, ინტერესი ფეხბურთის მიმართ საქართველოში კვლავინდებურად დიდია — ამის გათვალისწინებით, ფეხბურთის პოპულარობას საქართველოში ჯერჯერობით პრობლემა არა აქვს.

**— არ გეჩვენებათ, რომ ფეხბურთი საქართველოში სამოყვარულო სპორტი უფროა, ვიდრე პროფესიული? ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელთა განათლების საქმე სფფ-მ მხოლოდ შარშან წამოიწყო, მაგრამ ეს ჯერ ზღვაში წვეთია. გაუნათლებელი, ულიცენზიო მწვრთნელები ბავშვთა ფეხბურთში კი არა, რეგიონულ, პირველ და უმაღლეს ლიგაშიც არიან...**

— ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ფეხბურთი მხოლოდ მასობრივი, გამაჯანსაღებელი თუ გასართობი სპორტი არ იყოს საქართველოში. მართალია, რომ პრობლემის წინაშე ვდგავართ, მაგრამ მის გადასაჭრელად სერიოზული ნაბიჯები გადავდგით. არ ვაჭარბებ — მწვრთნელთა ლიცენზირება კატეგორიულ სახეს მიიღებს. არ დავუშვებთ, რომ მოყოლებული ბავშვთა ფეხბურთიდან, მწვრთნელებს სერიოზული განათლება არ გააჩნდეთ. სერიოზულად ვმუშაობთ კლუბების ლიცენზირებაზეც და აუცილებლად მიმაჩნია, რომ კლუბის ლიცენზირების დოკუმენტში ჩვენი მხრიდან შევიტანოთ ლიცენზირებული მწვრთნელების ყოლის აუცილებლობა — ეს ერთ-ერთი მთავარი პუნქტი უნდა იყოს.

**— ნორმალურ საფეხბურთო ქვეყნებში ნაკრებები ერთ სისტემაშია მოქცეული. ამ მხრივ სფფ-მ გადადგა ნაბიჯი — ახალგაზრდულის დამრიგებელი რევაზ არველაძე ცხრამეტ და ჩვიდმეტწლამდელთა კურატორიცაა, მაგრამ ეროვნული ნაკრები...**

— ამ სისტემაში ეროვნული ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძეცაა ჩაბმული. მოგეხსენებათ, ჩვენს 17-წლამდელთა ნაკრებს მწვრთნელი ჯერ არ ჰყავს და გუშინ ამ საკითხზე სწორედ არველაძე და ჩივაძე ერთად ბჭობდნენ. უნდა ვაღიაროთ, ჩვენი ბრალია, რომ ამ საკითხს ადრევე არ მივუდექით კატეგორიულად.

**— კონკრეტულად ეროვნულ ნაკრებზე გადავერთოთ. როცა წინა შესარჩევი ციკლის ბოლოს ჩივაძე ხელმეორედ ჩაუდგა გუნდს სათავეში, მაშინ თქვით, რომ ეს დროებითია და ციკლის ჩამთავრების შემდეგ უცხოელ მწვრთნელს მოიწვევდით. თუმც ორი მოგების და ფრის შემდეგ ნაკრები ისევ ჩივაძეს ანდეთ. დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ ფიქრობთ, საკუთარი თავი და ჩივაძე უხერხულ სიტუაციაში არ ჩააგდეთ?**

— როცა ამ გადაწყვეტილებას ვიღებდი, მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ჩივაძის და მისი თანაშემწეების მიერ გაწვრთნილ ნაკრებს შეუძლია იმ შედეგის მიღწევა, რაც ჩვენთვის დადებითად ჩაითვლება.

**— ვისაც ჩივაძის თამაში ახსოვს, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ მან საკუთარი თავი პირველ რიგში ინტელექტის ხარჯზე შექმნა. მაგრამ როცა ფრანც ბეკენბაუერმა და მათიას ზამერმა მწვრთნელობა დაიწყეს, შესაბამისი დიპლომის აღებაც მოუწიათ, ჩივაძეს კი არანაირი სამწვრთნელო ლიცენზია არ გააჩნია...**

— თანამედროვე ფეხბურთი ისეთ დონეზეა, რომ ისეთი საპასუხისმგებლო პოსტისთვის, როგორიც ეროვნული ნაკრების მწვრთნელობაა, აუცილებელია სერიოზული განათლება. თქვენს მიერ ჩამოთვლილი პიროვნებები ისეთი ინტელექტუალი მოთამაშეები გახლდნენ, რომ მინდორზე მხოლოდ ფეხბურთელებად კი არა, მწვრთნელებივით იყვნენ. ჩივაძის თამაშს თუ გავიხსენებთ, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ მოედანზე არა მარტო ფეხბურთელის, უფრო მეტ ფუნქციებს ასრულებდა. თუმც ეს ფაქტორები თანამედროვე მწვრთნელისთვის საკმარისი აღარ არის — ახლის შეძენა საჭიროა. ვფიქრობ, სამომავლოდ გვექნება ამის საშუალება.

**— გამოდის, რომ ჩივაძე სამწვრთნელო ლიცენზიას აიღებს?**

— ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება თუ მის გამოცდილებას, ფეხბურთში განვლილ გზას ესეც დაემატება.

**— ბოლოხანს დიდ დროს ატარებთ უცხოეთში. მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენი ოპონენტები ამას ალბათ თქვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ.**

— ამაში ვერ დაგეთანხმებით. არა მგონია, ძალიან დიდ დროს ვატარებდე უცხოეთში და აქ სიტუაციას არ ვფლობდე — საზღვარგარეთ თუ მივდივარ, ვცდილობ ის გზები და საშუალებები გამოვნახო, რაც ჩვენ ფეხბურთს წაადგება. ბოლოს იმის გამო შევყოვნდი უცხოეთში, რომ უეფას რამდენიმე კომიტეტის მუშაობაში მომიწია მონაწილეობა. ჩავდივარ-ხოლმე ფიფას ოფისში ციურიხშიც.

**— როდის ჩამოვა თბილისში ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი?**

— ხვალ პროგრამა „გოლის" ერთ-ერთი კურატორი ჩუხრი ჩამოვა თბილისში, მოინახულებს ნაკრების მშენებარე ბაზს, შემდეგ ფიფაში დაბრუნდება და მერეღა გაირკვევა ბლატერის თბილისში სტუმრობის თარიღი. ახლახან მასთან მოსკოვში შეხვედრისას კი დამიდასტურა, რომ წლეულს აუცილებლად ჩამოვა თბილისში. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის და თბილისის მერის სურვილია, რომ ბლატერი 26 მაისისთვის გვესტუმროს.

**— თქვენ საფეხბურთო მოხელის კარიერა თბილისის „დინამოს" პრეზიდენტობით დაიწყეთ. მას შემდეგ ბევრი დაბრკოლება შეგხვდათ, თქვენ სასამართლოებშიც მოგიწიათ სიარული, თქვენს წინააღმდეგ საქმეები აღიძრა, მაგრამ ყველა დაბრკოლება გადალახეთ, ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნებიც მოიგეთ — როგორ და რის ხარჯზე შეძელით ეს, რის ფასად დაგიჯდათ ყოველივე?**

— მიჭირს ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა. აქ ალბათ მთავარი ისაა, რომ მე ყველაზე მეტად საფეხბურთო ოჯახი მიჭერდა მხარს და არა გარეშე ძალები — ამაში ალბათ ვერავინ შემეკამათება. ისიც უნდა ვაღიარო, რომ ჩემს წარმატებებს ფიფა-უეფას მხარდაჭერამაც შეუწყო ხელი.

**— ზოგს მიაჩნია, რომ თქვენი წარმატებები იმითაცაა განპირობებული, რომ არაკონფლიქტური პიროვნება ხართ. ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?**

— ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო საკითხებში ვცდილობ, რომ საერთო ენა ყველასთან გამოვნახო. არასდროს ვიტყვი უარს იმ ხალხთან ურთიერთობაზე, რომლებიც ყრილობის დროს თუ სხვა პერიოდში განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ.

**— ფედერაცია თქვენ, „დინამო" თქვენს ოპონენტებს — მეორედ რომ გაპრეზიდენტდით, ამით ძალთა ბალანსი შენარჩუნდა?**

— იყო დრო, როცა ფედერაციის პრეზიდენტად ყოფნისას „დინამოში" ის ძალები მოღვაწეობდნენ, რომლებიც ჩემთან იყვნენ დაკავშირებულნი. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ფედერაცია ყველა შემთხვევაში ნეიტრალური უნდა იყოს. ვერ დავმალავ იმას, რომ დღესაც „დინამოს" გულშემატკივარი ვარ, ფაქტობრივად, ნახევარი ცხოვრება ამ კლუბში გავატარე. ვფიქრობ, არჩევნებში სხვა ძალებს რომ გაემარჯვათ, ისინიც მიხვდებოდნენ, რომ ფედერაციისთვის ნეიტრალურობა აუცილებელია.

**დავით თავართქილაძე**





ალექსანდრე ჩივაძეს სამწვრთნელო განათლება არ აწყენდა



იოზეფ ბლატერს თბილისში 26 მაისს ეპატიჟებიან

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### გაზაფხულის ტყე

საქართველოს ჩემპიონატმა როგორც იქნა გამოიღვიძა ზამთრის ძილისგან.

ის ხომ ერთი ზარმაცი დათვივით გახლავთ, რომელიც ზამთრის პირზე დაიძინებს და გაზაფხულისთვის ნელ-ნელა გამოიღვიძებს. თან ყოველ გაზაფხულზე გგონია, რომ ის აღარ გამოიღვიძებს, ისე გატკბობია ძილი. თუმცა, ასევე ყოველ გაზაფხულზე ის თვალებს მოიფშვნეტს და გარემოს მოათვალიერებს ხოლმე, აბა, რა ხდებაო. წამოდგომა ეზარება ჩვენი ჩემპიონატის დათვს და ცალ ფერდზე წამოწოლილი და მლევიძარი მისდევს თავის საქმეს.

ნაზამთრალი დათვი მშიერი გახლავთ ხოლმე, მაგრამ ჩვენი დათვი ისე მოიზარმაცებს, რომ მშიერსაც კი განძრევა ეზარება. გაიღვიძა და ეგ არის, თორემ დიდი მონადირეობით ვერ დაიკვეხნის. ისე არის კარგი, რომ დათვი გვყავს, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატი ჰქვია, თორემ ამ დათვს რომ მხეცად ვერ სცნობ, ნაღდია. გრძელი სახელი კი ჰქვია ამ დათვს, მაგრამ რას ვუზამთ? ამნაირ დათვებს ჩვენს ქვეყანაში გრძელი სახელები ჰქვიათ.

ესე იგი, თუ წამკითხველი ამ ადგილამდე მოვიდა თავის გამლებით და მოთმინებით, აქ დამწერის ალალი ბოდიშიც დახვდება, იმ ძველებური იგავარაკობისთვის, ამ სვეტში რომ გაზაფხულის და სეზონის განახლების აღსანიშნავად მოვიშველიეთ. მაგრამ აბა, სხვა რა უნდა მოეფიქრებინა კაცს მძინარე, ზარმაცი, დავიწყებული და დარდიანი დათვის გარდა?

ამასობაში კი სკუპ-სკუპ და მოხტის კურდღელი. იმასაც გაეხარდა გაზაფხულის მოსვლა. მოხტის და იქექება ბალახებში. ამ კურდღელს კიდევ უფრო გრძელი სახელი ჰქვია — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. მოკლედ, ევრო-2004-ს ეძახიან. მაგარი ის არის, ვინც კურდღელს ფეხში სწვდება და ამქვეყნად დიახაც მოიძებნებიან მგლები, რომლებსაც მისი დაჭერა შეუძლიათ. ასეთი მგლები ბევრია ტყეებში, ისე გაჰკრან კბილი საწყალ კურდღელს, რომა...

ერთი კურდღელი, ასეთი ყურცქვიტა, ჩამოხეტებულია უძოს მთიდან ქალაქისკენ, ვაკის განაპირამდე საჭმელ-საცუცნავს გამოჰყოლია, რადგან ეგულება ბალახი კარგად დათესილი განაპირა მინდორზე, სადაც ერთხელ ყოფილა პირის ჩასატკბარუნებლად, მაგრამ სიბნელისა შეშინებია. ამ კურდღლის დაჭერას ლამობს ერთი ბებერი, ხალხის ერთგული ნაგაზი, რომელსაც ადრე ბევრი კარგი რამ გაუკეთებია პატრონებისთვის, ალალად უმსახურია და ბევრი სიხარულიც მიუნიჭებია, მაგრამ ახლა თვალის ჩინი ჩაქრობია, მუხლი მოღლია და ფერდებშიც ლანდი გადის. ამ ნაგაზს ჩვენი ფეხბურთი ჰქვია, დიდად საყვარელია, მაგრამ აბა, რისი შემძლე? თუ ჩაუსაფრდა კურდღელს და წაეტანა კანჭში, სულ ერთიანად დაუბრუნდება თვალიც, ჯანიცა და ხალისიც, მაგრამ მერამდენე ხანია, ცდილობს და ვერ გამოსდის. მოხუცდა და მიეჩვია, რომ ვერ გამოსდის. შეუძახებენ, შემოუძახებენ და ისიც ცდილობს დაჰყეფოს და მიახტეს ყურცქვიტას, ანდა სულაც ეზოში შემოპარულ მელია კუდაგრძელიას, მაგრამ აბა, როგორა?

ძველად ასე წერდნენ ნამდვილ ამბებს. ცენზურა იყო და სხვანაირად არ გამოდიოდა. ფეხბურთი კი, დაიწყო.

## უეფას თასი 2002-2003
### UEFA CUP მეოთხედფინალი. პირველი მატჩები UEFA CUP

**ლაციო** (იტალია) 1:0 **ბეშიქთაში** (თურქეთი)
1:0 ს. ინძაგი (56)
ლაციო: პერუცი, სტამი, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (ინძაგი 50), ლაზეტიჩი (ლივე-რანი 83), სიმეონე, დ. სტანკოვიჩი, სეზარი, კ. ლოპესი, კიეზა (ფიორე 73)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ბეშიქთაში: კორდობა, ალი ბესერლერი, რონალდუ გიარუ, აჰმეთ ილდირიმი, ნიიაზი (ნუმა 84), ტაიფური (აჰმეთი 76), ჯუნტი (იასინი 70), სერდანი, პანჩუ, სერგენი, ილჰან მანსიზი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ილდირიმი, ალი ბესერლერი, რონალდუ გიარუ, სეზარი
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
35 000 მაყურებელი

**მალაგა** (ესპანეთი) 1:0 **ბოავიშტა** (პორტუგალია)
1:0 დელი ვალდესი (18)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ხოსემი, ფ. სანსი, ვალკარსე, მანუ, სანდრო (მანუელ კანაბალი 75), მ. რომერო, მუსამპა, დარიო სილვა, დელი ვალდესი (ივან ლეკო 75)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი (ბოსინგვა 46), ედერი, პაულუ ტურა, მარიუ, ავალოსი, პედროსა, ალეშანდრე (იური 71), ჟოსივალტერი, ჟორჟე კოუტუ (კლაუდიო 46), მარტელინიუ
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: პედროსა, რუი ოსკარი, ავალოსი, რომერო, დარიო სილვა
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
13 000 მაყურებელი

**სელტიკი** (შოტლანდია) 1:1 **ლივერპული** (ინგლისი)
1:0 ლარსონი (2), 1:1 ჰესკი (17)
სელტიკი: დუგლასი, მიალბი, ვალგაერენი, ბალდე, ჯ. სმიტი, ნ. ლენონი, ს. პეტროვი, ა. ტომპსონი (სტივ გუპი 26), სატონი, ლარსონი (ლამბერტი 76), ჰარტსონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ჯ. ტრაორე, რიისე, მერფი, ჰამანი, ჯერარდი, დიუფი (ბისკანი 90), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: პეტროვი, გუპი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
60 000 მაყურებელი

**პორტუ** (პორტუგალია) 0:1 **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)
0:1 ოლისადებე (70)
პორტუ: ვიტორ ბაია, პაულუ ფერეირა, ჟორჟე კოშტა, პედრუ ემანუელი, მარიუ სილვა, დეკო სოუზა, კოშტინია (ალეინიჩევი 53), მ. რიბეირუ, ნუნუ კაპუშუ (პეიშოტო 46), დერ-ლეი სილვა (იანკაუსკასი 56), პოსტიგა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, კირიაკოსი, ბასინასი, ლიბეროპულოსი (ლინსარი 90), კარაგუნისი (კუმასი 86), ფისასი, სეიტარიდისი, მიკაელსენი, ოლისადებე (კონსტანტინუ 86), კოლკა
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
გაფრთხილება: კოშტინია, მიკაელსენი, კარაგუნისი, ბასინასი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
44 310 მაყურებელი

*ოთხ მატჩში ხუთი გოლი ცოტაა, ფეხბურთი გაძუნწდა. გაძუნწებასაც თავისი მიზეზი აქვს. მეოთხედფინალამდე მისაღწევად გუნდებმა ფული დახარჯეს, ნაცემი ფულის დაკარგვას ნიშნავს, ნახევარფინალი კი კიდევ დამატებითი შემოსავლის წყაროა. ამიტომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები გოლი გაუშვას პირველ მატჩში და სულ მცირე, 90 წუთით სიცოცხლე გაიხანგრძლივოს. მარცხი ძალიან ძვირი ჯდება და აქედან გამომდინარე, გაძუნწებაც ნორმალური ამბავია, ანუ ოთხ მატჩში გატანილი ხუთი გოლი ცოტა კია, მაგრამ ნორმალურია.*




ელ-ჰაჯი დიუფს თავზე ხელი გადაუსვეს, მან კი ფურთხით უპასუხა

# ელ-ჰაჯი ქაჯივით მოიქცა
## ულიე გასახდელში ჩავიდა და ხუთშაბათს ენფილდზე ამოვა

**მიმოხილვა** იქიდან დავიწყოთ, სადაც ყველაზე მეტი გოლი გავიდა. თან გლაზგოური მატჩის დებიუტი ისეთი გამოდგა, ქომაგმა იფიქრა, ორი კი არა, აქ შეიძლება სამჯერ ორიც გავიდესო.

„სელტიკის“ ფანობამ ყბამოშუშებული ჰენრიკ ლარსონის დაბრუნებით გაიხარა. მარტინ ონილმა გარისკა, შვედი ძირითადში ათამაშა და გამოიცნო. მასპინძლები მეტოქეს გაცოფებით ეცნენ და გონზე მოსვლა არ აცალეს. ტერიე ჰაუგეს დასტვენილიდან წამებში ჯონ ჰარტსონის დარტყმული ძელს მოხვდა. სანამ „ლივერპულის“ დაცვა დალაგდებოდა, „სელტიკმა“ ანგარიში გახსნა. რიისე ტომპსონის ჩაწოდებულს ვერ გადაელობა და ლარსონმა მუხლით ბურთი კარში შეაგდო.

ჟერარ ულიეს დასცხა. „ლივერპულის“ მოსულიერებას კი დიდი დრო არ დასჭირვებია, მიუხედავად იმისა, რომ დამხვდურთა ფანები ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებდნენ. სტუმართაგან ელ-ჰაჯი დიუფი გამოირჩეოდა, რომელიც თავის მეურვეს სისწრაფეში სჯობნიდა, ხოლო ახმახი ემილ ჰესკიც გვარიანად ჩაგრავდა მცველებს. „ლივერპულმა“ მალე გაათანაბრა — რიისეს პასით ჰესკიმ დუგლასს გაუტანა. მოკლე დროში გატანილმა ორმა გოლმა ქომაგი გაახალისა, თუმც გულშემატკივრები მორიგ გოლს ამაოდ ელოდნენ.

გაშვებულმა „სელტიკი“ ოდნავ დააფრთხო, „ლივერპული“ კი მოყოჩაღდა. ტაიმის შუაწელში ალან ტომპსონი შესაცვლელი შეიქნა და იძულებითმა ცვლილებამ მასპინძლები ცოტაოდენ არია. პირველი ნახევრის მიწურულს „თეთრ-მწვანეები“ კვლავ ეკვეთნენ მეტოქეს, თუმცა ხეირიანი ვერაფერი შექმნეს.

შესვენების შემდეგ ისევ დამხვდურებმა იძალეს. ერთ ეპიზოდში ტრაორესთან შეჯახებისას ჰარტსონი საჯარიმოში დაეცა და თერთმეტმეტრიანსაც ითხოვდა, მაგრამ მსაჯმა ყური არ ათხოვა. თამაში ისე გახურდა, როგორც ბრიტანულ მატჩებს სჩვევია, დათმობას არავინ აპირებდა და ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. ასპროცენტიანი არა, მაგრამ მომენტები ორივე კართან ბლომად შეიქმნა. აქვე შევნიშნოთ, რომ შეხვედრა საკმაოდ კორექტულად მიმდინარეობდა — პირველი ყვითელი ბარათი მოედანზე 72-ე წუთზე გამოჩნდა.

მატჩის ბოლოს „სელტიკი“ გამხეცდა. დროდადრო „ლივერპულს“ მთელი გუნდით დაცვა უწევდა და თვით ელ-ჰაჯი დიუფიც დაცვაში გამობრძმედილივით ირჯებოდა. სენეგალელი ერთ მომენტში მოედნის კიდესთან მაყურებელში გადაეშვა. მავანმა გლაზგოელმა ფანმა მას თავზე ხელი მოუთათუნა. დიუფმა მაყურებლის მისამართით გადააფურთხა და გამაყრუებელი სტვენაც დაიმსახურა, მატჩი კი ლოგიკური ფრით დასრულდა.

მარტინ ონილი: „მატჩის შედეგი მაიძულებს, ლივერპულში მოგებაზე ვიფიქრო. ვითომ რა, ძნელი იქნება? „ენფილდზე“ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. უეფას თასიდან არ გავვარდებით. ყველას ჩვენს რეალურ ძალას ვაჩვენებთ. ვამაყობ „სელტიკით“, „ლივერპული“ კი ღირსეული მეტოქეა. თუ რამდენიმე მომენტს არ ჩავთვლი, მთლიანობაში ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ“.

ჟერარ ულიე: „გლაზგოში მხოლოდ პირველი ტაიმი დასრულდა, მეორე ერთი კვირის შემდეგ ლივერპულში გაიმართება. „ენფილდზე“ 90 წუთის განმავლობაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე კი ის მახარებს, რომ სტუმრად გოლი გავიტანეთ“. ულიემ დიუფის გადაფურთხებულზეც თქვა: „სირცხვილია. „ლივერპულის“ ფეხბურთელს ასეთი საქციელი არ ეკადრება. დიუფმა უკვე მოიბოდიშა და შეიგნო, რომ ცუდად მოიქცა“.

ისევე როგორც მარტინ ონილი ჰენრიკ ლარსონმა, რობერტო მანჩინიც ტრავმამოშუშებულმა ფეხბურთელმა გაახარა. სიმონე ინძაგის ხელი ჰქონდა მოტეხილი და მწვრთნელმა ძირითადში, არა და, როცა გაჭირდა, შეცვლაზე კი ათამაშა. გამარჯვების გოლი ფილიპოს ძმამ მიითვალა. დეიან სტანკოვიჩის ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოში ერთი შეხებით მოათვინიერა და მცველებისგან დაფარულ კორდობას გაუტანა.

„ლაციომ“ აგრესიულად დაიწყო. თურქებს პირველ ტაიმში, თუ მათი რუმინელი ლეგიონერის ერთ შორეულ დარტყმას არ ჩავთვლით, სახეირო არაფერი გაუკეთებიათ. მასპინძელმა მიხაილოვიჩმა დებიუტშივე ორი კუთხური ჩააწოდა, რასაც ხიფათი არ მოჰყოლია. ტაიმის მესამედი იყო გასული, ენრიკო კიეზამ კლაუდიო ლოპესს დასარტყმელად რომ დაუგორა, მაგრამ არგენტინელმა უშნოდ მოუცაცუნა ფეხი და მეკარეს მოგერიება არ გასჭირვებია.

გაცილებით უკეთეს ვითარებაში აღმოჩნდა ნიკოლა ლაზეტიჩი. ისიც კიეზამ დაასაჩუქრა უზადო პასით, თუმც ვერც ლაზეტიჩმა მოათვინიერა ბურთი. „ლაციო“ ზეწოლას უმატებდა, მაგრამ პირველ ნახევარში „ბეშიქთაშს“ ვერაფერი ავნო. მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, მანჩინიმ ფავალის ინძაგი რომ ჩაუნაცვლა და მანაც მალევე გახსნა ანგარიში. მასპინძელი დამშვიდდა და სტუმრებმა თავი წამოყვეს. ათწუთიან მონაკვეთში ილჰან მანსიზს ორჯერ მართებდა გატანა, მაგრამ მსოფლიოს ბრინჯაოსანმა მომენტები გააცუდა.

პირველ ტაიმში „ლაციოს“ ფეხბურთელებს ნერვებმა უღალატეს. სინიშა მიხაილოვიჩი დიეგო სიმეონეს გაუწყრა მას შემდეგ, რაც არგენტინელმა მოედნის შუაგულში რამდენჯერმე ბურთი დაკარგა. მოქიშპენი თანაგუნდელებმა გააშველეს.

რობერტო მანჩინი: „ასეთი დონის მატჩებში საგოლე მომენტების მაქსიმალური გამოყენება გვმართებს. კარგია, შინ რომ მოვიგეთ, თუმცა სტამბოლშიც მოსაგებად ჩავალთ და იმედი მაქვს, პირველ გოლს ჩვენ გავიტანთ. მაშინ უფრო მშვიდად ვიფიქრებ ნახევარფინალზე“.

მირჩა ლუჩესკუ: „სტამბოლში“ „ლაციოს“ ძალიან გაუჭირდება, რადგან იქ თითქმის ყველას უჭირს. გუნდით კმაყოფილი ვარ და ერთბურთიანი სხვაობის გაბათილება შინ ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება“.

„მალაგამ“ თავის ისტორიაში პირველად გააღწია უეფას თასის მეოთხედფინალში და ნახევარფინალსაც უმიზნებს. ესპანელებმა „ბოავიშტას“ თავიდანვე შეუტიეს, მაგრამ კარში დარტყმამდე საქმე ვერ მიიყანეს. პირიქით, პირველად სახიფათოდ სტუმარმა პედროსამ გაისროლა. ამ ჩხვლეტის შემდეგ პორტუგალიელებმა ისევ უკან დაიხიეს და „მალაგას“ მოედნის მეტი წილი დაუთმეს. მასპინძლებმა კვლავ ვერაფერი შექმნეს და ორჯერ კონტრშეტევა გაეპარათ. ჯერ ისევ პედროსამ დაჰკრა, მერე კი ჟოსივალტერის დარტყმული კონტრერასმა მოიგერია.

მეტოქის კარის დაპყრობის ხელახალმა მცდელობამ მალაგელები მეთვრამეტე წუთზე ახეირა. დარო ხილვამ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა და ხულიო დელი ვალდესმა ანგარიში გახსნა. ტაიმის შუაწელში მეტოქეები კინაღამ ერთურთს წაეკიდნენ და პიერლუიჯი კოლინას მათი დაშოშმინება მოუხდა. პირველი ნახევრის ბოლოს მასპინძლებმა მეორე გაიტანეს, მაგრამ მანამდე მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა და გოლი გააუქმა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მალაგელი მცველი ფერნანდო სანსი შეცდა და „ბოავიშტას“ ანგარიშის გათანაბრებაში ხელი მეორე მცველმა, ხოსემმა შეუშალა, რომელიც დარტყმულს გადაელობა. „მალაგა“ ძირითადად თავს იცავდა და მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობდა. შეხვედრის დასრულებამდე ოციოდ წუთით ადრე მოედანზე ვითარება იმის გამო დაიძაბა, რომ პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა ესპანელი გულშემატკივრები გამოლანძღეს, რისთვისაც ქომაგთა რისხვა დაიმსახურეს. ფაქტობრივად, მატჩის ბოლო „ბოავიშტას“ საკუთრება გახდა და მასპინძლებს საჯარიმოდან ცხვირი არ გამოაყოფინეს. სტუმრებს რომ დასცლოდათ, ფრეს მაინც მიაღწევდნენ, მაგრამ „მალაგას“ პიერლუიჯი კოლინას სასტვენმა დროზე მიუსწრო.

კარგად მოთამაშე „პორტუს“ საშინაო მარცხი მოულოდნელი იყო, მაგრამ „პანათინაიკოსიც“ ევროთასებზე ჭიპმოჭრილი გუნდია. ბერძნები ჭკვიანურად გაუმკლავდნენ მასპინძელთა შეტევებს და მეორე ტაიმში გამარჯვების გოლიც გაიტანეს. ემანუელ ოლისადებე ორ მცველს დაუსხლტა და კოლკას ფლანგური გარღვევა-ჩაწოდება გოლად აქცია.

სერხიო მარქარიანი: „მოხარული ვარ, რომ დღეს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი მისსავე მოედანზე დავამარცხეთ.“

ჟოზე მაურინიუმ უიღბლობაზე დაიჩივლა: „ისეთი მატჩი იყო, 5-6 საათიც რომ გაგრძელებულიყო, გოლს ვერ გავიტანდით. საბედნიეროდ, შანსი კიდევ გვაქვს. ყველაფერი ათენში გადაწყდება“.

**მაკა ხუციშვილი**



REUTERS

პორტუ — პანათინაიკოსი. მატჩის ერთადერთი გოლი სტუმართა თავდამსხმელმა ემანუელ ოლისადებემ (№23) გაიტანა

# რუსული პრემიერა

## ხუთმა გაიხადა, თერთმეტს გახდიან

*ხვალ რუსული პრემიერლიგა იწყება. იქაურ ფეხბურთს ჯერ არნახული ფული მიაწყდა. კლუბებმა 200 მილიონამდე დოლარს მოუყარეს თავი. ფეხბურთი რუსეთის ეკონომიკის ყველაზე პარადოქსული შტოა. ის სწრაფი ტემპით ვითარდება, ბევრი ინვესტორიც მიიზიდა, მაგრამ მოგება ჯერ არ ჩანს.*

**ზღაპრული** 200 მილიონი რუსეთის ჩემპიონატისთვის სარეკორდო რიცხვია. 16 კლუბის ბიუჯეტი იმ მაჩვენებელს მიუახლოვდა, რაც არც ისე შორსაა, თუნდაც ჰოლანდიურისგან (235 მილიონი ევრო). ამასთან, სჯობნის პორტუგალიას (127 მილიონი), დანიას, შვეციასა და ნორვეგიას (65 მილიონი).

ევროპაში ფინანსური პრობლემების ფონზე რუსეთის წინსვლა გამომწვევად ჩანს. საფეხბურთო აგენტმა, პორტუგალიელმა პაულუ ბარბოზამ თქვა, რომ ზამთრის განმავლობაში მხოლოდ ინგლისურმა და რუსულმა კლუბებმა დახარჯეს გვარიანი ფული ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

აქამდე სატრანსფერო რეკორდი მოსკოვის „ლოკომოტივს" ეკუთვნოდა. მათ იუგოსლაველი მილან ობრადოვიჩი 3 მილიონი დოლარი დაუჯდათ. ამ ზამთარს ეს რეკორდი ორჯერ დაეცა. ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროდან" სამარის „კრილია სოვეტოვმა" ნახევარმცველი სოუზა 3 მილიონი 600 ათასად შეიძინა, ხოლო მოგვიანებით, ცსკამ პრაღის „სპარტას" ირჟი იაროშიკის სანაცვლოდ 3 მილიონ 700 ათასი ჩაუთვალა. მოსკოვის „დინამოს" პატრონი თანხას არ აკონკრეტებს, თუმცა ირწმუნება, რომ გუნდის გასაძლიერებლად დაახლოებით 5 მილიონი დოლარი გაიღო. სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა" ჩეხი სპეციალისტი ვლასტიმილ პეტრჟელა მიიწვია, რომელსაც 5 თანამემამულე ფეხბურთელიც გაჰყვა.

რუსულ კლუბებში ურუგვაელი, შვედი, მაროკოელი და იტალიელიც კი თამაშობს. ელისტის „ურალანმა" ტურინის „იუვენტუსის" ყოფილი ნახევარმცველი დალ კანტო გადაიბირა, რომელსაც სერია A-ში ასზე მეტ მატჩში უთამაშია.

სატრანსფერო ხარჯების პროპორციულად ხელფასებიც იზრდება. რუსეთში დღეს ყველაზე მეტი ჯამაგირი ჩეხ ირჟი იაროშიკს აქვს. მისი წლიური შემოსავალი დაახლოებით ერთი მილიონი დოლარია. „სპარტაკის" ლიდერი და კაპიტანი ეგორ ტიტოვი, არაოფიციალური ვერსიით, კონტრაქტის პირობით სამ წელიწადში ორ მილიონ დოლარს მიიღებს.

„ადრე — თქვა ერთ-ერთმა საფეხბურთო აგენტმა –– რუმინელი, ჩეხი, ბულგარელი, პოლონელი და იუგოსლაველი ფეხბურთელები დასავლეთ ევროპისკენ იყურებოდნენ, მაგრამ იქაურთა ფინანსური კრიზისის გამო პირი რუსეთისკენ იქციეს. ამჟამად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში რუსულ კლუბებს კონკურენტები, ფაქტობრივად, არ ჰყავს. მხოლოდ კიევის „დინამოს" ან დონეცკის „შახტარს" თუ ძალუძს ერთ ფეხბურთელში რამდენიმე მილიონის გადახდა. მაგალითად, პრაღის „სპარტას" ყოფილ კაპიტან ირჟი ნოვოტნის ყაზანის „რუბინში" სამჯერ უფრო მეტი ჯამაგირი აქვს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე „სპარტაში" ჰქონდა.

ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ 5 კლუბი საუბრობს ღიად თავის ბიუჯეტზე: „კრილია სოვეტოვი", „ზენიტი", „ალანია", „ტორპედო-მეტალურგი" და „ჩერნომორეცი". ერთი წლის წინ, გაულახდილი ორად ორი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ კი 16-ვე პრემიერლიგელს მოუწევს საკუთარი ფინანსების საჯაროდ გამომზეურება. რუსეთის საფეხბურთო კავშირი უეფას მოთხოვნით მათ შემოწმებას აპირებს.

| 17.00 | 346 | კრილია-როტორი | 1.6 | 3.3 | 6,0 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 16.00 | 347 | ზენიტი-სატურნი | 2.1 | 3.0 | 3,5 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 17.00 | 348 | მეტალურგი-სპარტაკი | 5.0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1.21 | 1.1 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 349 | ცსკა-რუბინი | 1,25 | 5,0 | 10.0 | 1 | 1.11 | 3,33 |
| | 350 | ცსკა-რუბინი 0:1 | 1.65 | 3.3 | 3.3 | | | |
| 16.00 | 351 | ალანია-დინამო | 2.5 | 2.9 | 2.8 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| 16.00 | 352 | შინნიკი-ტორპედო-მეტალურგი | 1.7 | 3.2 | 5.0 | 1.11 | 1.26 | 1.95 |

საფრანგეთი. თასი. 1/4 ფინალი.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 355 | შატორუ-რენი | 6,0 | 3.8 | 1,5 | 2.32 | 1.2 | 1.07 |
| 20.00 | 356 | ბორდო-ლორიანი | 1,3 | 4.6 | 9,0 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 23.00 | 357 | მარტიგე-მეცი | 6,0 | 3.5 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 358 | ანგულემი-ლიონი | 4.8 | 3.3 | 1.7 | 1.95 | 1,25 | 1.12 |

შოტლანდია
ლიგის თასი. ფინალი.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 360 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 2013 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.2 | 2.2 | 4.6 | 1.1 | 1.48 | 1.48 |
| 18.30 | 2014 | ბოხუმი-ბაიერნი | 5.0 | 2.2 | 2.1 | 1.52 | 1.47 | 1.07 |
| 18.30 | 2015 | ჰანზა-ვერდერი | 2.9 | 2.1 | 3.3 | 1.21 | 1.54 | 1.28 |
| 18.30 | 2016 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1.7 | 2.5 | 6.5 | 1.01 | 1.34 | 1.8 |
| 18.30 | 2017 | არმინია-მენხენგლადბახი | 2.35 | 2.15 | 4.2 | 1.12 | 1.5 | 1.42 |
| 18.30 | 2018 | ჰამბურგი-შალკე | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 18.30 | 2019 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 3.0 | 2.1 | 3.2 | 1.23 | 1.54 | 1.26 |
| 16.30 | 2020 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 4.8 | 2.2 | 2.15 | 1.5 | 1.48 | 1.08 |
| 19.00 | 2021 | ბლეკბერნი-არსენალი | 4.8 | 2.1 | 2.25 | 1.46 | 1.53 | 1.08 |
| 19.00 | 2022 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 3.1 | 2.1 | 3.1 | 1.25 | 1.55 | 1.25 |
| 19.00 | 2023 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 2.1 | 2.2 | 5.0 | 1.07 | 1.47 | 1.52 |
| 19.00 | 2024 | ფულჰემი-საუთჰემპტონი | 2.5 | 2.05 | 4.0 | 1.12 | 1.53 | 1.35 |
| 19.00 | 2025 | ლიდსი-მიდლსბრო | 2.4 | 2.1 | 4.2 | 1.12 | 1.52 | 1.4 |
| 19.00 | 2026 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 21.00 | 2027 | რეჯინა-მილანი | 4.6 | 2.05 | 2.35 | 1.41 | 1.55 | 1.09 |
| 23.30 | 2028 | იუვენტუსი-მოდენა | 1.45 | 3.3 | 7.5 | 1 | 1.21 | 2.29 |
| 22.00 | 2029 | ვილიარეალი-რეალი | 4.8 | 2.15 | 2.2 | 1.48 | 1.5 | 1.08 |
| 23.45 | 2030 | დეპორტივო-რასინგი | 1.65 | 2.8 | 6.0 | 1.03 | 1.29 | 1.9 |
| 00.30 | 2031 | რასინგი-სოსიედადი | 3.6 | 2.1 | 2.6 | 1.32 | 1.5 | 1.16 |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 2032 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3.1 | 2.1 | 3.1 | 1.25 | 1.55 | 1.25 |
| 20.30 | 2033 | მიუნხენი-შტუტგარტი | 3.0 | 2.1 | 3.2 | 1.23 | 1.54 | 1.26 |
| 18.00 | 2034 | [illegible] | 2.2 | 2.1 | 5.0 | 1.07 | 1.52 | 1.47 |
| 19.00 | 2035 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3.1 | 2.05 | 3.2 | 1.23 | 1.57 | 1.24 |
| 20.05 | 2036 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 4.4 | 2.15 | 2.3 | 1.44 | 1.51 | 1.11 |
| 18.00 | 2037 | ბოლონია-უდინეზე | 2.5 | 2.05 | 4.0 | 1.12 | 1.53 | 1.35 |
| 18.00 | 2038 | ბრეშია-ტორინო | 2.05 | 2.15 | 5.6 | 1.04 | 1.5 | 1.55 |
| 18.00 | 2039 | კომო-პარმა | 2.6 | 2.05 | 3.8 | 1.14 | 1.54 | 1.33 |
| 18.00 | 2040 | ინტერი-ლაციო | 1.4 | 3.4 | 8.0 | 1 | 1.19 | 2.38 |
| 18.00 | 2041 | პერუჯა-რომა | 2.9 | 2.05 | 3.4 | 1.2 | 1.56 | 1.27 |
| 18.00 | 2042 | პიაჩენცა-ატალანტა | 3.0 | 2.05 | 3.3 | 1.21 | 1.57 | 1.26 |
| 23.30 | 2043 | [illegible] | 1.85 | 2.35 | 5.6 | 1.03 | 1.39 | 1.65 |
| 20.00 | 2044 | ატლეტიკო-სელტა | 2.6 | 2.05 | 3.8 | 1.14 | 1.54 | 1.33 |
| 20.00 | 2045 | ესპანიოლი-მალაგა | 2.7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 20.00 | 2046 | ოსასუნა-მალიორკა | 2.7 | 2.05 | 3.6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 20.00 | 2047 | ბეტისი-უელვა | 1.85 | 2.3 | 6.0 | 1.02 | 1.41 | 1.66 |
| 20.00 | 2048 | ვალიადოლიდი-სევილია | 2.6 | 2.05 | 3.8 | 1.14 | 1.54 | 1.33 |
| 22.00 | 2049 | ალავესი-ბარსელონა | 3.8 | 2.1 | 2.5 | 1.35 | 1.5 | 1.14 |
| 23.30 | 2050 | ბილბაო-ვალენსია | 3.3 | 2.05 | 3.0 | 1.26 | 1.57 | 1.21 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიდომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1 კორპუსი
ბროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00-21.30
კვირა 12.00-20.30

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | |
| 18.30 | 2513 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2514 | ბოხუმი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2515 | ჰანზა-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2516 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2517 | არმინია-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2518 | ჰამბურგი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2519 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2520 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2521 | ბლექბერნი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2522 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2523 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2524 | ფულემი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2525 | ლიდსი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2526 | სანდერლენდი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2527 | რეჯინა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2528 | იუვენტუსი-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2529 | ვილიარეალი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2530 | დეპორტივო-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2531 | რასინგი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **16 მარტი** | | | |
| 20.30 | 2532 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2533 | მიუნხენი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2534 | სიტი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2535 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 2536 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2537 | ბოლონია-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2538 | ბრეშა-ტორინო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2539 | კიევო-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2540 | ინტერი-კომო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2541 | პერუჯა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2542 | პიაჩენცა-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2543 | ლაციო-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2544 | ატლეტიკო-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2545 | ესპანიოლი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2546 | ოსასუნა-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2547 | ბეტისი-ულვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2548 | ვალიადოლიდი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2549 | ალავესი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2550 | ბილბაო-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | |
| 18.30 | 2413 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 2414 | ბოხუმი-ბაიერნი | 2,6 | 1,5 |
| 18.30 | 2415 | ჰანზა-ვერდერი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 2416 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,2 | 4,0 |
| 18.30 | 2417 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 2418 | ჰამბურგი-შალკე | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 2419 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 1,95 |
| 16.30 | 2420 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 2,4 | 1,6 |
| 19.00 | 2421 | ბლექბერნი-არსენალი | 2,3 | 1,65 |
| 19.00 | 2422 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 2423 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 2424 | ფულემი-საუთჰემპტონი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2425 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2426 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2427 | რეჯინა-მილანი | 2,2 | 1,7 |
| 23.30 | 2428 | იუვენტუსი-მოდენა | 1,15 | 4,4 |
| 22.00 | 2429 | ვილიარეალი-რეალი | 2,5 | 1,55 |
| 23.45 | 2430 | დეპორტივო-რაიო | 1,25 | 3,6 |
| 00.30 | 2431 | რასინგი-სოსიედადი | 2,0 | 1,8 |
| | | **16 მარტი** | | |
| 20.30 | 2432 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1,9 | 1,9 |
| 20.30 | 2433 | მიუნხენი-შტუტგარტი | 1,85 | 1,85 |
| 18.00 | 2434 | სიტი-ბირმინგემი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 2435 | ტოტენჰემი-ლივერპული | 1,9 | 1,9 |
| 20.05 | 2436 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 2,3 | 1,65 |
| 18.00 | 2437 | ბოლონია-უდინეზე | 1,8 | 2,0 |
| 18.00 | 2438 | ბრეშა-ტორინო | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 2439 | კიევო-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 2440 | ინტერი-კომო | 1,15 | 4,4 |
| 18.00 | 2441 | პერუჯა-რომა | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 2442 | პიაჩენცა-ატალანტა | 1,85 | 1,95 |
| 23.30 | 2443 | ლაციო-ემპოლი | 1,35 | 3,2 |
| 20.00 | 2444 | ატლეტიკო-სელტა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2445 | ესპანიოლი-მალაგა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2446 | ოსასუნა-მალიორკა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2447 | ბეტისი-ულვა | 1,35 | 3,2 |
| 20.00 | 2448 | ვალიადოლიდი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 22.00 | 2449 | ალავესი-ბარსელონა | 2,0 | 1,8 |
| 23.30 | 2450 | ბილბაო-ვალენსია | 1,95 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | |
| 18.30 | 2213 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2214 | ბოხუმი-ბაიერნი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2215 | ჰანზა-ვერდერი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2216 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2217 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2218 | ჰამბურგი-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2219 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 16.30 | 2220 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2221 | ბლექბერნი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2222 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2223 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2224 | ფულემი-საუთჰემპტონი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2225 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2226 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2227 | რეჯინა-მილანი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2228 | იუვენტუსი-მოდენა | 1,95 | 1,65 |
| 22.00 | 2229 | ვილიარეალი-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2230 | დეპორტივო-რაიო | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2231 | რასინგი-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| | | **16 მარტი** | | |
| 20.30 | 2232 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2233 | მიუნხენი-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2234 | სიტი-ბირმინგემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2235 | ტოტენჰემი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 20.05 | 2236 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2237 | ბოლონია-უდინეზე | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2238 | ბრეშა-ტორინო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2239 | კიევო-პარმა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2240 | ინტერი-კომო | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 2241 | პერუჯა-რომა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2242 | პიაჩენცა-ატალანტა | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2243 | ლაციო-ემპოლი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2244 | ატლეტიკო-სელტა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2245 | ესპანიოლი-მალაგა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2246 | ოსასუნა-მალიორკა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2247 | ბეტისი-ულვა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2248 | ვალიადოლიდი-სევილია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2249 | ალავესი-ბარსელონა | 1,95 | 1,65 |
| 23.30 | 2250 | ბილბაო-ვალენსია | 1,8 | 1,8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2113 | ლევერკუზ.-ვოლფსბ. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 2114 | ბოხუმი-ბაიერნი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.30 | 2115 | ჰანზა-ვერდერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 2116 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 2117 | არმინია-მ.გლადბახი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 2118 | ჰამბურგი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 2119 | კოტბუსი-კ.ლაუტერნი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 2120 | ასტონ ვილა-მანჩესტ. | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 19.00 | 2121 | ბლექბერნი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 19.00 | 2122 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 200 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 2123 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 2124 | ფულემი-საუთჰემპტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 2125 | ლიდსი-მიდლსბრო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2126 | სანდერლ.-ბოლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 2127 | რეჯინა-მილანი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.30 | 2128 | იუვენტუსი-მოდენა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 22.00 | 2129 | ვილიარეალი-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.45 | 2130 | დეპორტივო-რაიო | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.30 | 2131 | რასინგი-სოსიედადი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| | | **16 მარტი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2132 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.30 | 2133 | მიუნხენი-შტუტგარტი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 2134 | სიტი-ბირმინგემი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2135 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.05 | 2136 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 18.00 | 2137 | ბოლონია-უდინეზე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2138 | ბრეშა-ტორინო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2139 | კიევო-პარმა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2140 | ინტერი-კომო | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 6,0 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 2141 | პერუჯა-რომა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.00 | 2142 | პიაჩენცა-ატალანტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.30 | 2143 | ლაციო-ემპოლი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 2144 | ატლეტიკო-სელტა | 3,1 | 12,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 2145 | ესპანიოლი-მალაგა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 20.00 | 2146 | ოსასუნა-მალიორკა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 20.00 | 2147 | ბეტისი-ულვა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 2148 | ვალიადოლ.-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 22.00 | 2149 | ალავესი-ბარსელონა | 4,8 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.30 | 2150 | ბილბაო-ვალენსია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

15.03 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9

15.03 16.30 2602 ინგლისი პლ. (XXX ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9

15.03 21.00 2603 იტალია "A" (XXV ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9

15.03 22.00 2604 ესპანეთი Iდ. (XXVI ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9

15.03 22.30 2606 პოლანდია Iდ. (XXIV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9

15.03 23.00 2607 ბელგია Iდ. (XXVI ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **15 მარტი** | | |
| 18.30 | 2313 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2314 | ბოხუმი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2315 | ჰანზა-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2316 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2317 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2318 | ჰამბურგი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2319 | კოტბუსი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 16.30 | 2320 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2321 | ბლექბერნი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2322 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2323 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2324 | ფულემი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2325 | ლიდსი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2326 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2327 | რეჯინა-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2328 | იუვენტუსი-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2329 | ვილიარეალი-რეალი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2330 | დეპორტივო-რაიო | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2331 | რასინგი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| | | **16 მარტი** | | |
| 20.30 | 2332 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 2333 | მიუნხენი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 2334 | სიტი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2335 | ტოტენჰემი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 20.05 | 2336 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2337 | ბოლონია-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2338 | ბრეშა-ტორინო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2339 | კიევო-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2340 | ინტერი-კომო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2341 | პერუჯა-რომა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2342 | პიაჩენცა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2343 | ლაციო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2344 | ატლეტიკო-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2345 | ესპანიოლი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2346 | ოსასუნა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2347 | ბეტისი-ულვა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2348 | ვალიადოლიდი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2349 | ალავესი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2350 | ბილბაო-ვალენსია | 1,7 | 1,9 |



ნიკა ცქიტიშვილს „დენვერის" ხუთეულში დაწინაურება მოუხდა

*რაც ნიკოლოზ ცქიტიშვილი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადაბარგდა, მასზე არაერთი წერილი დაიწერა ამერიკულ საინფორმაციო გვერდებში. განსაკუთრებით დენვერული გაზეთები აქტიურობდნენ, ისინი ნიკას ყოველ „გატოკებას" მსხვილი შრიფტით აღწერენ. ეს ბუნებრივიცაა, დენვერელები ცდილობენ, ზუსტად ამოიცნონ ნბა-ში მოხვედრამდე უცნობი კავკასიელი ჭაბუკის სახე, რომელსაც გაჭირვებულმა და ნიჭიერ ბიჭებზე მონადირე „დენვერ ნაგიტსმა" 2003 წლის დრაფტის მე-5 არჩევანი დაახარჯა.*

*ამჯერად გთავაზობთ „დენვერ პოსტის" მასალას, რომელშიც ცქიტიშვილი საკუთარ თავს უკეთ თამაშის მოთხოვნას უყენებს და თბილ სამშობლოს ოდნავ შესამჩნევი სევდითახსენებს.*

# ჯერ ბავშვი ვარ

## ცქიტიშვილმა წარმოიდგინა, რომ ამერიკაში დაიბადა და საქართველო მოაგონდა

**ნიკა ცქიტიშვილმა** თავის პირველ სეზონში 65 მატჩიდან 64 ითამაშა და მისი წინსვლა ახლაღა გახდა შესამჩნევი. თამაშთან ერთად „სკიტა" ამერიკულ ცხოვრების წესსაც ეგუება.

ცქიტიშვილმა „დენვერთან" უკვე დაახლოებით 500 ვარჯიში ჩაატარა. ახლა ის ფიქრობს, სად მოადუნოს კუნთები, 16 აპრილს ხომ რეგულარული ჩემპიონატი სრულდება.

მაიამი ბრწყინვალე დასასვენებელი ადგილია, იქ უფრო მეტი გართობაა და ახალგაზრდებსაც გული მიუწევთ, ჰავაიზე კი ეგზოტიკა სჭარბობს, კუნძულზე უფრო ცხელა. ცქიტიშვილსაც ეს კურორტები შეურჩევია მოსასვენებლად. მას სითბო იზიდავს.

„ალბათ ერთ კვირას მაიამიში გავატარებ, ერთსაც ჰავაიზე" — გეგმავს ცქიტიშვილი. ეს კლასიკური ამერიკელის ჩანაფიქრია.

ცქიტიშვილმა უკვე ამერიკულად დაიწყო კალათბურთის თამაშიც. „დენვერის" მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკს გადაწყვეტილი აქვს, ახალგაზრდა ქართველი დარჩენილ 17 მატჩში მაქსიმალურად დატვირთოს. მწვრთნელს სურს, დაამტკიცოს, რომ „ნაგიტსი" არ შემცდარა, როცა დრაფტზე გუნდის პირველი არჩევანი ცქიტიშვილზე დახარჯა.

ბზდელიკმა ბოლო 7 შეხვედრაში ცქიტიშვილი სასტარტოში დააყენა. ქართველიც არ შერცხვა, „ტორონტოსთან" სამშაბათს ნათამაშები მატჩი კი შესაძლოა, საუკეთესოდ ჩაითვალოს მის ამერიკულ კარიერაში. „სკიტამ" 11 ქულა გააკეთა და ისე ჩამოარიგა კარიერაში უმეტესი 6 პასი, ბურთი არ დაუკარგავს.

ცქიტიშვილის ძლიერ ძირითადად გახდომის ოცნება თანდათან ხორცს ისხამს. თუმცა არსებობს საშიშროებაც. ქართველს ბურთის თრევა დასჩემდა, იგი ცდილობს, რამდენიმე მეტოქე მოატყუოს და მერეღა ფიქრობს პასზე. თუ ამ საქმეს მან კარგად აუღო ალღო, მისი გუნდი უკეთეს მოთამაშეს ვერ ინატრებს. ვერადა, ნიკას უფრო მარტივი სათამაშო კომპონენტებით მოუწევს დასაქმება. ცქიტიშვილს მიაჩნია, რომ ნბა-ს სათამაშო სტილს სწორედ პასის კულტურის სწავლით გაიგებს.

„ნიკა იმდენ ხანს ითამაშებს სასტარტოში, რამდენადაც დაიმსახურებს — ამბობს ბზდელიკი — ეს მისი განვითარების გარკვეული ფაზაა. მე დარჩენილ მატჩებში ძირითადად ახალგაზრდებს მივცემ შანსს, დროა, მათ რამე დაგვანახონ, თუნდაც არადამაკმაყოფილებელი, მაგრამ რაღაც.

ცქიტიშვილი აღრინდელზე უკეთესი სანახავი იყო „ტორონტოსთან" მატჩში. ის ფარქვეშაც კარგად ირჯებოდა და სროლითაც ხშირად ესროდა. „სკიტა" ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩვენ გუნდში. ის შესამჩნევად უმატებს."

„ნაგიტსის" ლიდერი ჯუონ ჰოვარდი: „ცქიტიშვილს კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. ის მხოლოდ 19 წლისაა და ჯერ უჭირს თამაში. მთავარია, რომ მასში დიდი პოტენციალი ბუდობს, რომელმაც არ შეიძლება, ნაყოფი არ გამოიღოს."

ქართველიც ცდილობს და სასტარტოში მისი ხშირი თამაშიც მალე გამოაჩენს, რა როგორ გამოსდის.

„სკიტა" ხშირად ფიქრობს სამშობლოზე. „საქართველო რაღაცით ჩამოგავს აქაურობას, იქაცაა მთები და ლამაზი ბუნება. ახლა იქ ალბათ უკვე თბილა. თავიდან ნოსტალგია მტანჯავდა, მაგრამ უკვე 9 თვეა, აქ ვარ და შევეგუე დენვერს. საქართველო პატარა ქვეყანაა და იქ არაა ძლიერი საკალათბურთო სკოლები — ამბობს ცქიტიშვილი — მე არ ვთვლი, რომ კარგ სეზონს ვატარებ. რაკი „დენვერის" რჩეული ვარ, ხალხი ფიქრობდა, რომ დიდებულად ვითამაშებდი, თუმცა, ჩემი აზრით, ბევრი ვერ ერკვევა კალათბურთში. ახლა ზოგიერთი ამბობს, ცქიტიშვილი ვერაფერი მოთამაშეაო. მე მათ დავუმტკიცებ, რომ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში.

ისე, ხანდახან მგონია, რომ აქ დავიბადე, ჯერ ბავშვი ვარ და პირველ ნაბიჯებს ვდგამ. ნბა-ში თამაში უფრო რთული ყოფილა, ვიდრე მეგონა. აქ ყველაზე რთულ კალათბურთს თამაშობენ."

**აირვი მოსი Denver Post**

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# მზემ მეფეებს სხივი სტყორცნა

13 მარტი

**სიეტლი 107:100 დალასი**

**სიეტლი:** ლუისი (30), ალენი (29)
**დალასი:** ნოვიცკი (27), ვან ექსელი (26)

**ფინიქსი 109:84 საკრამენტო**

**ფინიქსი:** მერიონი (27), მარბერი (26)
**საკრამენტო:** ვებერი (22 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)

**ნიუ ჯერსი 90:75 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი:** პარისი (24)
**ბოსტონი:** პირსი (22)

ამასწინათ მინესოტელებთან შერცხვენილ დალასელებს გუშინწინ მთლად წაემურდლათ ხასიათი. ლიგის ჯერაც ლიდერმა „დალასმა" მეპლეიოფეთაგან მოშორებით მყოფ „სიეტლთან" წააგო.

„დალასის" დაუძლურებაზე ლაპარაკი ნაადრევია. ტეხასელებს, რაც უნდა იყოს, ყველაზე მეტი მოგება დაჰგროვებიათ და საბოლოოდ რა გამოუვათ, არავინ იცის.

ასეა თუ ისე, ნოვიცკის გუნდმა კვლავ წააგო. მას მოერია საშუალო გაქანების „სიეტლი", ვისთვისაც პლეი ოფში თამაში ჯერაც ვარდისფერ ოცნებას ჰგავს.

ტეხასელები დაჯაბნა „ზებგერითა" ფორვარდმა რაშარდ ლუისმა, ვინაც 30 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. სწორედ ლუისის ლაზათიანად ჩატენილმა ბურთმა გადაწყვიტა ამ მატჩის ბედი. როცა „მავერიკსის" ყოჩმა დირკ ნოვიცკიმ თამაშის დასრულებამდე წუთით ადრე თავისი გუნდი 3 ქულით მიაახლოვა „სიეტლს", ლუისმა ბურთი მოიხელთა და სწრაფი გარღვევით დალასელებს თამაშის გადარჩენის შანსი ჩაუკლა.

„დალასზე" არანაკლებად შერცხვა კიდევ ერთი დასავლელი ბობოლა „საკრამენტო". „მეფეები" ფინიქსში თამაშობდნენ და საკუთარ კედლებში ყოჩაღად მობურთალ „სანზთან" დამარცხებისთვის ვერავინ გაჰკიცხავთ, მაგრამ წაგებაცაა და წაგებაც — საკრამენტოელებმა საამსეზონოდ სარეკორდო სხვაობით დათმეს მატჩი.

აქამდე „მეფეებისთვის" ყველაზე სამარცხვინოდ ითვლებოდა 5 თებერვალს ნიუ ორლეანში 84:108 წაგებული შეხვედრა, ამჯერად კი საკრამენტოელები 25 ქულით გაცამტვერდნენ.

„კინგზს" ვერ უშველა ვერც ახალმომჯობინებულმა ლიდერმა კრის ვებერმა. მოზვერა კრისმა თავისი გასაკეთებელი კი გააკეთა, სამმაგ დუბლამდე კინკილა პასი დააკლდა, მაგრამ მას მხარი ვერ აუბეს „საკრამენტოს" სხვა ყოჩაღმა ბიჭებმა. პეჯა სტოიაკოვიჩი, რომელიც საშუალოდ 19 ქულას იხვეჭს მატჩში, ამჯერად მხოლოდ ოთხს დასჯერდა. სერბმა სნაიპერმა თამაშიდან 7-ჯერ ესროლა და ოდენ ერთხელ იხეირა.

ფინიქსელთაგან შონ მარიონი და სტივენ მარბერი ბრწყინავდნენ. საკრამენტოელი ვლადე დივაცის არყოფნით გათამამებულმა ფინიქსელებმა ძირითად ცენტრად ტომ გუგლიოტა გამოაბრძანეს, ვისაც ამ პოზიციაზე სულ ერთი-ორჯერ თუ ექნება ნათამაშები. „მზეები" ნიადაგ ლიდერობდნენ და „მეფეებს" მიახლოების საშუალება არ მისცეს.

დღის მესამე მატჩში „ნიუ ჯერსიმ" „ბოსტონი" დაამარცხა. აღმოსავლეთის ლიდერი ამ გამარჯვებამ ძალიან გაახარა, რაკი თებერვლის შუა რიცხვებიდან მოყოლებული მიჯრით ვერ მოეგო, „ბოსტონის" დამარცხებით კი წარმატებას ზედიზედ მეორედ მიაღწია.

**ირაკლი ბერტაია**

**საქართველოს ჩემპიონატი**

14 მარტი. ვერის ბაღი

**მაკაბი 76:116 დინამო**

20:34, 22:24, 19:26, 13:32

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (30), აკოლაშვილი (19), ვაშაკიძე (4), კონჯარია (14), სუხიშვილი (15), ერგემლიძე (2), ქოქოსაძე, ანდღულაძე, ტატუნაშვილი
**დინამო:** აბრამიძე (5), ი. ხოშტარია (9), ბეჟანიშვილი (15), თორთლაძე, ნაცვლიშვილი (11), ოგანესიანი (11), მარკოიშვილი (33), მუპე (12), რ. ჩხეიძე (9), ნინიაშვილი (11)
**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, ლიკა ქაჯაია; **კომისარი:** როლანდ ხომერიკი



ნბა-ს ყველაზე პატარა მოთამაშე ერლ ბოიკინსი მართლაც ჭუჭაა

*მართალი ნათქვამია, კალათბურთი მაღლების თამაშიაო. კი ბატონო, მაღალ და ზორბა ბიჭებს რაგბიშიც გადააწყდება კაცი, ხელბურთშიც და ხანდახან ფეხბურთშიც. ფეხბურთელებიდან ჩეხი იან კოლერის მოტანაც კმარა, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიის" მეტოქეთა საჯარიმოში თავისი ორმეტრიანი ტანფეხით აფრთხობს მოწინააღმდეგეებს. საერთოდ არავის დაუწესებია, იდეალური ფეხბურთელის სიმაღლედ მეტრი და 85,5 სანტიმეტრი. კარგი, მაგრამ ყველაზე მეტად სპორტის რომელ სახეობაში დაასაქმებდა 210-სანტიმეტრიანი ჯეელი თავის ახმახ სხეულს? ცხადია, კალათბურთში.*

# ამათ აქ რა უნდათ?! კალათბურთი სანტიმეტრებით არ იზომება

**კალათბურთი** ყველაზე „მაღალი" თამაშია, რომელსაც ხანდახან დაბლებიც თამაშობენ. იგულისხმება, ვთქვათ, არა იაო მინგთან შედარებით დაბალი, არამედ საერთოდ სპორტსმენის კვალობაზე ტანმორჩილი ადამიანები, მაგალითად, „გოლდენ სტეიტ ვორიორზის" 165-სანტიმეტრიანი ეარლ ბოიკინსი.

კალათბურთს ახსოვს ძალიან დაბალი ბიჭები, რომლებიც თავს პატარებად და „დაჩაგრულებად" სულაც არ გრძნობდნენ. 1987 წელს თბილისურ აუდიტორიას უნახავს „ატლანტა ჰოქსის" ჩია გამთამაშებელი ენტონი „სპად" ვები. სპორტის სასახლე ფრიად მოხიბლულა მისით. 168-სანტიმეტრიანი ვები 80 და 90-იან წლებში ხშირად იქით ჩაგრავდა ნბა-ელ გოლიათებს. მან 1986 წელს ჩატენვების კონკურსიც კი მოუგო მაიკლ ჯორდანს, დომინიკ ვილკინსსა და ნბა-ს სხვა არწივებს. ასევე ახლო წარსულში დაქროდა მოედნებზე ნბა-ს ისტორიაში ყველაზე დაბალი მოთამაშე ტაირონ, იგივე „მაგსი" ბოგსი, 160-სანტიმეტრიანი ჯუჯა რომელიც თავის ამპლუის მოთამაშეებში ასევე არ იყო უკანასკნელი.

160 სანტიმეტრი წარმოუდგენლად დაბალ სიმაღლედ ჩანს კალათბურთელისთვის, ხომ შეიძლება, ვთქვათ, 216-სანტიმეტრიანმა შაკილ ონილმა ასეთი ჭიანჭველა მოედანზე ვერ შეამჩნიოს და შემთხვევით გასრისოს. ერთადერთი მოთამაშე, ვისაც ბოგსი თვალს თვალში გაუყრიდა და თავს მის სწორად ჩათვლიდა, ეს ეარლ ბოიკინსია, ბოგსზე ხუთი სანტიმეტრით მაღალი, მაგრამ დღევანდელ ნბა-ში ყველა სხვაზე დაბალი მოთამაშე.

ბოიკინსი „გოლდენ სტეიტში" ამ სეზონის წინ მივიდა და ამ ნიადაგ ჩაჩანაკი გუნდის აღმასვლა დააჩქარა. მართალია, იგი ლიდერებში არ ურევია, „ვორიორზის" მეორე გამთამაშებელია, მაგრამ სამაგიეროდ, შეცვლაზე შემოსულს თან დიდი სარგებელი მოაქვს და „გოლდენ სტეიტისთვის" რამდენიმე გამარჯვება პირადად მოუტანია.

„წარმოუდგენლად სწრაფი და მიზანმიმართულია. შეუძლია ჩააგდოს ძალიან მნიშვნელოვანი ბურთი, შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, შემდეგ კიდევ და კიდევ" — პატარა შეგირდით აშკარად კმაყოფილი ჩანს „გოლდენ სტეიტის" მწვრთნელი ერიკ მუსელმანი.

რა თქმა უნდა, 165 სანტიმეტრი დიდი სიმაღლე ვერაა კალათბურთელისთვის. ერთი შეხედვით, არც 180 და 185 სანტიმეტრია ნბა-ში სტანდარტული სიმაღლე. თუმცა იქ ამხელა ბიჭები მრავლად არიან და არც თავის გატანა უჭირთ.

„ბევრი მწვრთნელი უარს ამბობს დაბალ მოთამაშეებზე, რადგან არსებობს ასეთი მოსაზრება — დაბალი კალათბურთელი დაცვაში დიდი დანაკლისია. ვფიქრობ, ეს მხოლოდ სტერეოტიპია" — ამბობს „დეტროიტ პისტონზის" პრეზიდენტი, სახელოვანი ჯო დუმარსი. თავად მის გუნდში ხშირად ბურთს ათამაშებს და დაცვაშიც პირველ დამცველად დგება 180-სანტიმეტრიანი ჩაკი ეტკინსი. „მაიამი ჰიტის" სასტარტო ხუთეულის წევრია ამხელავე ტრევის ბესტი, ხოლო 1996 წელს სეზონის ახალბედად დასახელებული დეიმონ სტუდემაიერი 178-სანტიმეტრიანი ტანითაც ვარსკვლავობს.

თუკი დაბალ ვარსკვლავებზე ჩამოვარდება სიტყვა, პირველ რიგში ფილადელფიელი ალენ აივერსონი უნდა დავასახელოთ. ის მხოლოდ 183 სანტიმეტრს ითვლის ფეხარნავიდან, მაგრამ თავისი სიმოკლის მიუხედავად, ნბა-ს ფარების უმრისხანესი დამწიოკებელია. იგი სამჯერ გამხდარა სეზონის ბომბარდირი. გარდა ამისა, აივერსონი ბოლო სამი სეზონის უმარჯვესი ჩამჭრელია. შეიძლება ითქვას, ის დაბალი მოთამაშის ეტალონია, აკეთებს ყველაფერ იმას, რაც წესით და რიგით უნდა გააკეთოს მისებრ მომცრო ტანის კალათბურთელმა. ის ქარივით მოუხელთებელია.

ეარლ ბოიკინსი ამბობს — „სიჩქარე ჩემი უდიდესი უპირატესობაა. ამის გამო ძნელია ჩემს წინააღმდეგ თამაში. ბუნებრივ სისხარტე ისაა, რასაც ვარჯიშზე ვერ ისწავლი."

„ეს ერთადერთი უპირატესობაა, რაც მათ აქვთ — ამბობს ნიუჯერსელი სუპერვარსკვლავი ჯეისონ კიდი — ისინი არ ჩერდებიან, მათ დეკნაში შეიძლება თავბრუ დაგეხვეს" — თავად კიდი, 193-სანტიმეტრიანი, ანუ საკმაოდ მაღალი გამთამაშებელი, ხშირად უპირისპირდება დაბალ ოპონენტებს და თუმცა საღლეისოდ თავის ამპლუაში უძლიერესად ითვლება, ყოველთვის გამარჯვებული როდი გამოდის პატარებთან ბრძოლიდან. ნბა, ეს გოლიათების ქვეყანა, პატარა ბიჭებისაცაა.

**ირაკლი ფირცხვილი**



სებასტიან გროჟანი



ენდი როდიკი

# განთესილები დაითესნენ

## ზოგს ფალარათი შეეყარა, გროჟანს როდიკი

**PACIFIC LIFE OPEN**

ინდიან უელსი. ჰარდი

**კაცები**

საპრიზო 2,245 მილიონი $

**მესამე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:7 (3:7), 6:4, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 5:7, 6:3, 6:2; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — სებასტიან გროჟანი (11, საფრანგეთი) 7:6 (7:5), 2:6, 7:6 (7:1); **რობი ჯინეპრი** (აშშ) — მარატ საფინი (7, რუსეთი) 6:0, 6:1; **რაინერ შიუტლერი** (15, გერმანია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:5); **ვინსენტ სპადია** (აშშ) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:4, 4:6, 6:2; **ბრაიან ვაალი** (აშშ) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2, 7:5

წლევანდელ ინდიანუელსურ ჩოგნაობას ფინალ ორი რამ სტიქიური უილბლობა გასდევს — შემზარავი ჩვატი და ზედიც მუცლის მავანი ვირუსი, რომლის წყალობითაც მეჩოგნენი ფეხსალაგს სასტუმროზე ხშირად სტუმრობენ, ხოლო ნაომსტუმრიუვრს აღარც კორტში გასვლის თავი აქვთ და აღარც — კორტზე.

სწორედ ამ ვირუსის ბრალი იყო, რუსთა მუსლიმმა მეროძეცმა, მარატ საფინმა, გუშინ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობებით რომ ჩაისვარა.

აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს იმას, რანგით შეუდარებლად დაბლა მდგომსა და ტურნირზე სულაც კვალიფიკაციებიდან მოხვედრილ მეტოქესთან ამქრის ერთი უხორბესი, ექსპრესპექტიული და მესლემტიტული ჯილდო ორ სეტში მხოლოდ ერთი გეიმის მოგებას რომ შეძლებს?

ჩასვრის გარდა — სხვა არც არაფერი!

თუმცა საფინის ვაინაჩრობასა და უსაქციელობაზე მეტად — და ჯინეპრისთან მარცხისას სკვითმუსლიმმა მთელი თავისი მუყიკური არსენალი მოიხმარა — ადგილობრივი ქომაგები მათი ჯილების ჩაუქმა და შეუპოვარმა ჩოგნაობამ გაართო.

უსახელო ჯინეპრის დარად იმ დღეს გაილაღეს ვინს სპადიამ და ბრაიან ვაალიმ — ტურნირზე ასევე კვალიფიკაციებიდან მოხვედრილმა ამერიკელებმა. ვაალიმ წინა წრიდან ხუან კარლოს ფერეირო (3) აოტა, ახლა კი მას მეორე ესპანელი, ტომი რობრედოც მიაყოლა.

მეკვალიფიკაციეთა სამეულს მხარი აუბეს ენდი როდიკმა (6) და ჯეიმს ბლეიკმა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მესამე წრეში გასული ხუთი ამერიკელიდან მეოთხედფინალს ხუთივემ უწია.

როდიკს ფიცხელი ბრძოლა გადახდა ფრანგ გროჟანთან, რომელმაც ენდიბიჭის აგრესიულ, ბადესთან მიძალებულ თამაშს ნატიფი შემოქმედება კი დაუპირისპირა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა.

ჯეიმს ბლეიკმა კი წაგებული სეტის შემდეგ ორი უკუიგო და ჩაუქ ფორმაში მყოფ კარლოს მოიას ისე გასცდა, მისთვის არც ხელწავლმების ხათქა-ხუთქში დაუდია ტოლი და არცთუ მის მძლავრ მოწოდებებს შეპუეებია.

მომდევნო მატჩს შავხუჭუჭა ამერიკელი სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენთან გამართავს — წინა წრეში როჯერ ფედერერის მომგულავმა გუგამ ამ ჯერზე მეზობელ კალერის აჯობა.

საინტერესოა, რომ ხუთი ამერიკელი ინდიან უელსურ მეოთხედფინალში 1989 წლის შემდეგ აღარ გასულა. იმ წელს ბოლო რვეულში ერთბაშად ექვსი მასპინძელი — ანდრე აგასი, ჯეი ბერგერი, მაიკლ ჩანგი, ჯიმი კონორსი, ბრედ გილბერტი და ტიმ მეიოტი — მოხვდა.

ხოლო ისეთი რამ, რომ მეოთხედფინალამდე სამ მეკვალიფიკაციეს მიეღწიოს, სულაც 1976 წლის შემდეგ აღარ მომხდარა.

სხვაფრივ — შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი პირველად შეხვდა არგენტინელ კორიას და მისი ძლევით საწლევანდლო ბალანსი ერთი წაგების წილ 12 მოგებამდე გაიუმჯობესა.

მომდევნო შეხვედრას ამქრის კისკასი პირველმეჩოგნე ჯინეპრისთან გამართავს, ვისაც მას შემდეგ აღარ შეხლია, რაც რომ შარშანდელ ცინცინატურ მასტერსტურნირზე საზარელი მარცხი აგემა.

და კიდევ — წლეულს 22 შეხვედრა გამართა და მე-16 გამარჯვება მიითვალა ავსტრალიის ღია პირველობის წლევანდელმა ფინალისტმა შიუტლერმა. მან იმ დღეს ახმახი ბელარუსი „მხეცი", მაქს მირნი მოარჯულა.

**ქალები**

საპრიზო 2,1 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — ჩანდა რუბინი (8, აშშ) 6:2, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (6, ესპანეთი) — ამანდა კუცერი (16, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:1

ცენტრალურ კორტზე ჩია რუბინთან საპაექროდ ფუმფულა ბელგიელი კიმ კლაისტერსი მისი გულისვარდის, ლეიტონ ჰიუიტის მიერ იმავე კორტზე გილერმო კორიას ძლევის შემდეგ გავიდა.

არავინ იცის, საყვარელი კაცის დანატოვარმა აურამ იმოქმედა თუ კიმი უბრალოდ იმ დღეს მართლაც ბომბა ფორმაში იყო, მაგრამ ფაქტია — ჩანდა რუბინის წინააღმდეგ მან ისე შაბაშად იჩოგნავა, მთელი კვირანახევრის განმავლობაში რომ არ მოჰხერხებია.

ეს 19 წლის ბელგიელის მეხუთე საამსეზონო ნახევარფინალი იქნება — სხვათა შორის, მეხუთევე საამსეზონო ტურნირზე.

ნახევარფინალში კიმი ესპანელ კონჩიტა მარტინესს უნდა შეხვდეს, ვინაც — თავის მხრივ — მე-17 საკარიერო შეხლაში მეთოთხმეტედ დაჩოქა ამანდა კუცერი.

ინდიან უელსში ჩასვლამდე მარტინესი ოთხ ტურნირზე გამოვიდა და თუკი სიდნეისა და მელბურნში პირველსავე წრეებში იძლია, დოჰასა და დუბაიში მეოთხედფინალებამდე მაინც გაატანა.

ის ტურნირის 1992 და 1996 წლების ფინალისტია, კიმმა კი იქაური ფინალი შარშანწინ წააგო.

**ლევან ძელაურაძე**



კიმ კლაისტერსი



# რუმინელებს სისხლი წაებილწათ

## ერთი გამოიჭირეს, მეორე გაექცათ

რუმინეთის ტოპ კლუბის, ბუქარესტის „დინამოს" მორკინალი მიხაი რავარიუ დოპინგის ხმარებაში ჩავარდა და ორი წლით იძულებით ჩამოშორდება რაგბის. 22 წლის რავარიუ სამშობლოში იმედისმომცემ მორაგბედ ითვლება და რუმინეთის ნაკრების ფრანგ მწვრთნელ ბერნარ შარეირს ნაკრების კანდიდატთა სიაშიც ჰყავდა შეყვანილი.

რავარიუს პირველი დოპინგ-ტესტი შარშან ნოემბერში ჩაუტარდა, „ჩელენჯ ქაფის" (რაგბის უეფას თასი), ინგლისური „სარასენსის" და „დინამოს" შორის მატჩის შემდეგ. მორაგბის შემოწმება საგანგებო კომიტეტმა ERC-2 მოითხოვა. ხსენებული კომიტეტის სახელი რომ გადმოვაქართულოთ ევროპის სარაგბო კლუბების ანტისადოპინგო კომიტეტი გამოვა.

ტესტმა რავარიუს სისხლში აკრძალული პრეპარატის გონადროპინის კვალი აღმოაჩინა. ახლახანს მორაგბეს განმეორებითი ტესტი ჩაუტარდა და სისხლში სტიმულატორის ნარჩენები ამჯერადაც დაფიქსირდა.

ERC-2 ახლა „დინამოს" კიდევ რამდენიმე მორაგბის შემოწმებას ითხოვს. დოპინგის წინააღმდეგ მებრძოლი აქტივისტები ეჭვობენ, რომ „დინამოში" დოპინგის ხმარება მასიურ ხასიათს ატარებს.

რუმინული კლუბის უფროსობას პრობლემები სხვა ფლანგიდანაც მიეძალა. საქმე ისაა, რომ გუნდის კიდევ ერთი ლიდერი ფლორინ პრადაისი „სარასენსი" — „დინამოს" მატჩის წინ უკვალოდ გაქრა. ბოლოს იგი „ჰითროუს" აეროპორტში ნახეს, როცა ტაქსში ჯდებოდა. ამბობენ პრადაისმა ლონდონ იხელთა და ბრიტანეთში არალეგალურად დარჩაო.



ბერნარ შარეირო
შეგირდების ბედმა ჩააფიქრა

**2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი**



ესპანელები ტუნისთან შესახვედრად ემზადებიან

# ტუნისი და ა.შ.

## ესპანეთი VS აშშ?

**დღეს** წლევანდელი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ორი მატჩია — სამხრეთ კორეა ჩვენს ძველ ნაცნობ ტონგას მასპინძლობს, ერთა თასის მაჩანჩალა ესპანეთი კი ტუნისს ხვდება. მეორე წყვილის შეხლა ნეიტრალურ მოედანზე, საფრანგეთში, ვალენ დეჟენში გაიმართება და გამარჯვებული ამ შეჯიბრის ბოლო ეტაპზე აშშ-ს გაუმართავს ორრაუნდა ბრძოლას.

მსოფლიოს თასის კვალიფიკაციაში რუსეთის ნაცვლად აღდგენილი ესპანეთი საფრანგეთში სამდღიან შეკრებაზეა. მათი მწვრთნელი ფრანგი პიერ პერესი იმედიანადაა და ტუნისელთა ძლევას გეგმავს — „ერთა თასზე უკვე ვითამაშეთ სამი მატჩი და კარგად ვიცი ჩემებიდან ვის ვენდო და ვის არა. ტუნისი ძლიერი გუნდია, მაგრამ ვფიქრობ, შევძლებთ მის დამარცხებას. აი, აშშ-სთან კი ჩვენი შანსები ძალიან მცირეა."

ტუნისელთა მწვრთნელი სარაოუი მოჰამედი: „ჩემებმა იციან, რომ შესანიშნავი შანსი აქვთ, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. მოთამაშეების მზადყოფნით კმაყოფილი ვართ. ესპანეთი ცოტათი ძლიერია, მაგრამ არც იმდენად, რომ გამარჯვების შანსი არ გვქონდეს."

როგორც ვთქვით, ესპანეთ-ტუნის შორის მჯობნი დღეს ერთმატჩიან ბრძოლაში გაირკვევა. აი, სამხრეთ კორეა და ტონგა კი მიმოსვლითი პრინციპით ითამაშებენ. მათ შორის საპასუხო მატჩი 21 მარტს ტონგში გაიმართება.

**ბაჩო სვანიძე**

# მეოთხე იკმარეთ, გურჯებო!

**გუშინ** საღამოს თბილისში დაბრუნდა ჩვენი ქვეყნის 12-გზის ჩემპიონი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟ ხელბურთელთა გუნდი „შევარდენი", რომელიც ეროვნული პირველობის ვერცხლის პრიზიორ „თბილისთან" ერთად ირანის ქალაქ კერმანის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა.

აზიის კონტინენტზე ეს საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი, რომელიც ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ეწყობა, წლეულს მეცამეტედ ჩატარდა.

რვა გუნდი ორ ჯგუფში იყო განაწილებული. როგორც შევარდენელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა ირაკლი კეკელიძემ გვაცნობა, ჩვენს ჩემპიონებს ჯერ მასპინძელთა ახალგაზრდული ნაკრებისთვის უჯობნიათ — 26:22, მერე ომანელებისთვის — 28:27, ჯგუფის ბოლო მატჩში კი ირანის ჩემპიონ „კერმანთან" დამარცხებულან — 24:36, თუმცა ნახევარფინალში მაინც გავიდნენ. ქართველმა ხელბურთელებმა იქ მეორე ჯგუფის გამარჯვებულ ირანის ნაკრებთან წააგეს — 24:30, ხოლო დასკვნით სამესამეადგილო მატჩში იმავე კერმანელებთან ბოლომდე წინ კი იყვნენ, მაგრამ ადგილობრივმა მსაჯებმა ყველაფერი იღონეს, რათა მესამე ადგილი არაირანელებს არ რგებოდათ. საეჭვო პენალტით მასპინძლებმა ბოლო წუთზე ანგარიში გაათანაბრეს — 30:30, დამატებით პერიოდში კი გამარჯვებაც მოიპოვეს — 34:33.

ფინალში ჩინური ტაიბეის გუნდის ძლევით თასი ირანის პირველმა ნაკრებმა დაისაკუთრა. რაც შეეხება მეორე ქართულ გუნდს, „თბილისმა", ჯგუფში სამივე თამაში წააგო და ბრძოლას ადრეულად გამოეთიშა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს სოლიდური ტურნირი ჩვენი გუნდებისთვის მშვენიერი სამზადისი გახდა კარსმომდგარი მე-13 ეროვნული ჩემპიონატის წინ, რომლის დაწყებასაც საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია მარტის ბოლოს გეგმავს.

**გია ახალაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

ატლანტელმა დანიელ ტარნკვისტმა მონრეალელი გორდი დუეირი დაიჭირნა



## მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. ბირმინჰემი 14-16 მარტი




REUTERS

ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი ბოლოსდა ჩავიდა ბირმინგემში და არ უნანია

# სარბენ ბილიკზე ბლოკია

**ციცი ზამთარი** თვალსა და ხელს შუა იხევს და თოვლიანი სახეობები თანდათან თმობენ პოზიციებს. სამაგიეროდ ხურდება „შილიფად მოსილთა" სეზონები. თუნდაც, აგერ მძლეოსნობა ვთქვათ, გუშინ ხომ დიდ ბრიტანეთში, ბირმინჰემში მსოფლიოს მე-9 ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო.

ჩემპიონატი სამდღიანია და ხვალ დასრულდება. ასეთი მცირე ვადის გამო კალენდარიც შემჭიდროვებულია და უკვე პირველ დღეს გაიმართა ფინალი სამ სახეობაში ქალთა და კაცთა 60-მეტრიან სპრინტში და კაცებს შორის ბირთვის კვრაში. მთლიანობაში მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატები არც ძალიან პოპულარული შეჯიბრებაა, ყოველ შემთხვევაში ცისქვეშა პირველობებთან სად მივა, მაგრამ ბირმინგემში მაინც ბლომად სამძლეოსნო ლიანგმა მოიყარა თავი, 121-მა ქვეყანამ 650 ათლეტი წარადგინა რაც სარეკორდო ოდენობაა.

რაოდენობას ხარისხიც ახლავს. კერძოდ ბირმინგემში ჩასვლა არ იუკადრისა 100-მეტრიან სპრინტში მსოფლიოს ჭერსგარეთა, ანუ ნაღდმა ჩემპიონმა ჟანა პინტუსევიჩმა, რომელიც ახლა ქმრის გვარზე გადაწერილა და ბლოკად მოიხსენიება. უკრაინელი სპრინტერი თურმე თავიდან არ გეგმავდა ბირმინგემში სირბილს, მაგრამ მერე უფიქრია ამ ჭერქვეშას ჭერსგარეთა ტურნირებისთვის მოსამზადებელ პროგრამაში ჩავრთავო და ბოლო დღესდა ჩაულაგებია ბარგი საინგლისოდ. ჩავიდა ჟანა და მოიგო კიდეც ქალთა 60-მეტრიანი გარბენი, თან გვარიანი უპირატესობით. მან ექვსი ათეული მეტრი 7,04 წამში გაირბინა და ჭერქვეშა 60-მეტრიანი გარბენების ისტორიაში მეორე დრო აჩვენა.

გუშინვე, 14 მარტს მოთავდა კაცთა 60-მეტრიანი რბენაც. აქ საჩემპიონო დაფნა თავზე დაიდგა ამერიკელმა ჯასტინ გატლინმა. მისი დროა 6,46 წამი, რაც ისევე შთამბეჭდავად ვერ აღემატება მდევართა შედეგებს, როგორც პინტუსევიჩისა, უკაცრავად ბლოკისა თუმც ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ არამც და არამც არ გაახუნა ამერიკელის საჩემპიონო სიხარული. თავს ახალბედასავით ვგრძნობ, სტარტზე რომ დავდექი, ბევრი მავნე ფიქრი მომეძალა, მაგრამ განვაგდე და დაწმენდილი გონებით ვირბინეო — ამბობდა გამარჯვებული.

ბირთვის მკვრელთა ჭიდილში მოულოდნელად იმარჯვა ესპანელმა მანუელ მარტინესმა, ვინაც ბოლო ბირთვი 21 მეტრსა და 24 სანტიმეტრზე ჰკრა და სულ ერთი სანტიმეტრით აჯობა ამერიკელ ჯონ გოდინას.

# ორზე საჭირო ორი

13 მარტი

**კოლუმბუსი 1:5 კოლორადო**
*0:3 1:1 0:1*

0:1 საკიკი (7), 0:2 საკიკი (12), 0:3 საკიკი (17), 0:4 ჰეიდუკი (21), 1:4 ლინგი (31), 1:5 დევრიზი (52)

**ფილადელფია 5:3 კაროლინა** *1:1 1:1 3:1*

0:1 ონილი (5), 1:1 დეჟარდენი (17), 2:1 ლეკლერი (26), 2:2 სან ჟაკი (37), 3:2 პრიმო (41), 4:2 ამონტე (52), 4:3 ვრბატა (53), 5:3 იუშკევიჩი (56)

**ბოსტონი 4:3 ნიუ ჯერსი** *0:0 4:3 0:0*

0:1 ლანგენბრუნერი (25), 1:1 ლაპოინტი (25), 2:1 ლაპოინტი (29), 3:1 ნაგელი (30), 4:1 ლაპოინტი (30), 4:2 ელიაში (33), 4:3 გომესი (37)

**ოტავა 3:2 რეინჯერსი** *0:0 1:1 1:1 1:0*

0:1 ბურე (29), 1:1 ალფრედსონი (35), 2:1 ჰოსა (54), 2:2 ნედვედი (55), 3:2 რედენი (62)

**ატლანტა 2:4 მონრეალი** *0:2 1:1 1:1*

0:1 რიბეირო (8), 0:2 ზედნიკი (15), 1:2 სნაიდერი (22), 1:3 დაკელი (35), 2:3 შტეფანი (55), 2:4 მარკოვი (60)

**ედმონტონი 2:5 აილენდერსი**
*2:1 0:2 0:2*

1:0 ჰორკოფი (1), 2:0 რ. სმიტი (6), 2:1 მეიპლტოფტი (6), 2:2 ბლეიკი (27), 2:3 ბეიტსი (35), 2:4 პერიში (46), 2:5 ბლეიკი (60)

**კალგარი 4:3 ტორონტო** *1:1 0:1 2:1 1:0*

0:1 მაკეიბი (2), 1:1 ლოური (6), 1:2 ანტროპოვი (26), 2:2 კონროი (55), 3:2 დომი (55), 3:3 იგინლა (57), 4:3 კლარკი (65)

**ვანკუვერი 4:4 სენტ ლუისი**
*2:2 2:2 0:0 0:0*

1:0 ლინდგრენი (2), 1:1 ტკაჩუკი (7), 1:2 სტილმანი (7), 2:2 მორისონი (17), 2:3 დემიტრა (24), 3:3 დ. სედინი (25), 3:4 ბოგუნიცკი (28), 4:4 მალიკი (32)

**ანაჰაიმი 3:2 სან ხოსე** *1:0 0:2 1:0 1:0*

1:0 სიკორა (61), 1:1 გრეივსი (25), 1:2 დამფუსი (32), 2:2 ვიშნევსკი (45), 3:2 ტომასი (63)

ახალწვეულთა შოუ გრძელდება! კლუბგამოცვლილმა მოთამაშეებმა დედლაინის შემდეგ ჩატარებულ მეორე მატჩშიც გამოავლინეს თავიანთი ღირსებები. ახალ პარტნიორებს სულ რაღაც ორი პერიოდის განმავლობაში შეეწყო ტრეიდში მონაწილეთაგან ერთ-ერთი გამორჩეული, ტონი ამონტე. მესამეში მან ჯერ კეიტ პრიმოს გაატანინა, მერე თავადაც იხეირა და ფილადელფიამ ბოლოდროინდელ მატჩებში განსაკუთრებული შედეგიც აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამავე მატჩში ფილადელფიას დაუბრუნდა ლიდერი ჯონ ლეკლერი. მან 47 თამაშის გამოტოვების შემდეგ ყინულზე გასვლა გოლით აღნიშნა.

აწ უკვე აილენდერსელ იანე ნიინიმაას ახალ გუნდში დებიუტი ყოფილ გუნდ ედმონტონის წინააღმდეგ შეხვედრას დაემთხვა და სწორედ მისმა გოლმა შეიტანა თამაშში გარდატეხა. ბოლოს მისმა „აილენდერსმა" ორი ქულაც მიითვალა.

ანაჰაიმის მესვეურები ვერც კი იფიქრებდნენ, რომ სტივ ტომასი ასე გამოადგებოდათ. 39 წლის ვეტერანმა ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა. თანაც ამჯერად ეს ოვერტაიმში გააკეთა. „ვინ იცის, ჩემი კარიერის საუკეთესო ეტაპი ეგებ ახლა იწყება" — იხუმრა კმაყოფილმა ტომასმა მატჩის შემდეგ.

ვერ ვიტყვით, რომ ახალ გუნდში დებიუტი ყველასთვის ბედნიერად დაიწყო. მაგალითად, სახელოვან ვეტერან დუგ გილმორის ტორონტოში მეორედ მისვლა უიღბლო გამოდგა. პირველივე წუთებზე მეტროქსთან შეჯახებისას მან მუხლი დაიზიანა და ყინულის დატოვება მოუხდა.

ბოლოს ორ ჰეთ თრიქზეც ვიქვათ. ერთი კოლორადოს კაპიტან ჯო საკიკის ანგარიშზეა. მძიმე ტრავმის შემდეგ საკიკი, მისივე თქმით, დიდხანს ვერ ჯდებოდა სათამაშო რიტმში და მხოლოდ ახლა იგრძნო ძველებური სიმსუბუქე. მეორეს ავტორი მარტინ ლაპოინტია. როცა ეს მოთამაშე ზაფხულში ბოსტონში გადავიდა, მავანი ჟურნალისტი წერდა, იგი ჩვენი გუნდისთვის ბობი ორზე მნიშვნელოვანი იქნებაო. მას შემდეგ ჩატარებულ 47 თამაშში მარტინმა... ორი გოლი მიითვალა... ახლა ის ჟურნალისტი შვებით ამოისუნთქებდა.

**სამველ ლარიბიანი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ოტავა* | *71* | *45* | *7* | *1* | *18* | *227:154* | *98* |
| ნიუ ჯერსი | 69 | 39 | 6 | 5 | 19 | 183:147 | 89 |
| ვაშინგტონი | 71 | 33 | 8 | 5 | 25 | 195:187 | 79 |
| ფილადელფია | 69 | 36 | 11 | 4 | 18 | 164:145 | 87 |
| ტორონტო | 71 | 38 | 5 | 2 | 26 | 206:182 | 83 |
| ტამპა | 70 | 31 | 11 | 5 | 23 | 190:185 | 78 |
| ბოსტონი | 71 | 32 | 8 | 4 | 27 | 215:210 | 76 |
| აილენდერსი | 70 | 31 | 9 | 2 | 28 | 189:194 | 73 |
| მონრეალი | 72 | 27 | 8 | 8 | 29 | 182:205 | 70 |
| რეინჯერსი | 72 | 28 | 9 | 3 | 32 | 189:210 | 68 |
| ფლორიდა | 71 | 22 | 12 | 9 | 28 | 159:206 | 65 |
| პიტსბურგი | 71 | 25 | 5 | 5 | 36 | 171:217 | 60 |
| კაროლინა | 72 | 22 | 9 | 6 | 35 | 154:205 | 59 |
| ბუფალო | 69 | 21 | 9 | 7 | 32 | 154:180 | 58 |
| ატლანტა | 69 | 23 | 6 | 4 | 36 | 183:246 | 56 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 71 | 39 | 15 | 2 | 15 | 214:144 | 95 |
| ვანკუვერი | 71 | 40 | 12 | 1 | 18 | 226:182 | 93 |
| დეტროიტი | 70 | 40 | 9 | 3 | 18 | 223:175 | 92 |
| კოლორადო | 70 | 35 | 12 | 7 | 16 | 208:168 | 89 |
| სენტ ლუისი | 70 | 36 | 9 | 6 | 19 | 222:184 | 87 |
| ანაჰაიმი | 72 | 35 | 8 | 4 | 25 | 176:171 | 82 |
| მინესოტა | 69 | 35 | 9 | 1 | 24 | 170:150 | 80 |
| ედმონტონი | 71 | 30 | 8 | 8 | 25 | 191:197 | 76 |
| ნეშვილი | 69 | 27 | 11 | 5 | 26 | 168:170 | 70 |
| ფინიქსი | 69 | 27 | 9 | 4 | 29 | 179:189 | 67 |
| ლოს ანჯელესი | 70 | 29 | 4 | 4 | 33 | 179:191 | 66 |
| ჩიკაგო | 70 | 25 | 10 | 5 | 30 | 170:184 | 65 |
| სან ხოსე | 70 | 25 | 6 | 6 | 33 | 188:208 | 62 |
| კალგარი | 70 | 24 | 10 | 4 | 32 | 160:203 | 62 |
| კოლუმბუსი | 70 | 24 | 7 | 3 | 36 | 181:227 | 58 |

შენიშვნა: დახრილი შრიფტით პლეი ოფში აღნიშნულია გასული გუნდები

ბომბარდირები: ნესლუნდი (ვანკუვერი) 91(42+49); ტორნტონი (ბოსტონი) 88(34+54); ფორსბერგი (კოლორადო) 87(25+62); ლემიე (პიტსბურგი) 86(28+58); ბერტუცი (ვანკუვერი) 82(39+43); ჰეიდუკი (კოლორადო) 80(40+40); მიურეი (ბოსტონი) 78(38+40); დემიტრა (სენტ ლუისი) 78(29+49); იაგრი (ვაშინგტონი) 74(36+38); მოდანო (დალასი) 74(27+47); კოვალიოვი (რეინჯერსი) 73(33+40); პალფი (ლოს ანჯელესი) 72(31+41); მოგილნი (ტორონტო) 72(28+44)

# მკურნალობის რეცეპტი ალექსეი ჟამნოვისგან



ჩიკაგოს კაპიტან ალექსეი ჟამნოვს თურმე მკურნალობის თავისი მეთოდი აქვს. ტრავმის გამო ორი მატჩის გამოტოვების შემდეგ, ორშაბათს, რუსი ფორვარდი ჩიკაგოს გარეუბანში პოლიციამ დააკავა, როცა მანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა. ჟამნოვის ორგანიზმში ალკოჰოლის დოზა ნორმას ორჯერ აღემატებოდა. 10 წელია, იგი ნჰლ-ში თამაშობს, მაგრამ როგორც ჩანს, რუსულ ჩვევას მაინც ვერ ღალატობს. საინტერესოა, რომ ორი დღის წინ ჩიკაგომ გუნდიდან ცნობილი ალკოჰოლიკი ტეო ფლერი დაითხოვა. „ჯუჯა ტეოსთან" ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ „ქორების" ბოსებმა ჰოკეისტი ეგრეთ წოდებულ „უეივერ დრაფტზე" დააყენეს და ჯერ მისი შემძენის მსურველი არ გამოჩენილა. იქნებ ჟამნოვსაც ეს ბედი ელის?

# ბრძოლის წინ

ამ კვირას ბერლინში საჩემპიონო კრივია: ფედერაციისა (იბფ) და ასოციაციის (ვბა) ზესაშუალო წონის გერმანელი ჩემპიონი სვენ ოტკე (ცხადია, მარცხნივ) თავის ქამრებიანად უნდა შეებას მოცილე ამერიკელს, ბაირონ მიჩელს. ერთობლივ პრესკონფერენციაზე, ოტკეს ხუმრობით უთქვამს, აჰა, ერთი ქამარი და თავი დამანებეთ. ორივენი მხიარული კაცები ჩანან.



REUTERS ბერლინიდან

# ვალენსიის წიდაზე

ვალენსიაში კორიდას დღეებია და უკვე საქმე ისე წასულა, რომ ხარები ყალყზეც კი დგებიან. თუმც, მატადორი ვიქტორ სანჩეს სედრა ყოჩაღობს და ამ გადარეულს მოხდენილად გაურბის. მეხუთე დღეა, ვალენსიაში ფალასის ხართან ბრძოლები მიმდინარეობს.


REUTERS ვალენსიიდან


REUTERS ათენიდან



# სიმშვიდის მცველები

საბერძნეთის პოლიცია მკლავებდაკაპიწებული და შეჭურვილი ვარჯიშობს. ეს არის საგანგებო ანტიტერორისტული ბრიგადა, რომელიც, გაის[illegible] ათენის ოლიმპიადაზე დაიცავს სიმშვიდეს. ოლიმპიადის მშვიდად ჩატარებისთვის 600 მილიონი დოლარია გამოყოფილი და დამცველთა რაზმიც ამიტომ გადასულა ყაზარმულ ყოფაზე.


REUTERS ჰანოიდან

# მზადება

ეს პირველადაა, რომ კომუნისტური ვიეტნამი დიდ საერთაშორისო შეჯიბრს მასპინძლობს. დედაქალაქ ჰანოიში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშები გაიმართება. ამიტომ, დედაქალაქის გარეუბანში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა. 45 ათას ადგილიანი სტადიონი უდიდესი სპორტული ნაგებობა იქნება ვიეტნამში. თამაშები კი დეკემბერში გაიხსნება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible] თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible], [illegible] გულისაშვილი, [illegible], გიორგი კაშაკაშვილი, [illegible] ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbioli.com.ge